# საქართველოს რესპუბლიკა



ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴝⴃⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴒⴗⴓⴈⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴝⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴋⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 17 იანვარი, 2007 წელი.

№ 9 (5610)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## მისი უდიდებულესობა მამუკა (ლუდოვიკო) მეთოთხმეტე!

რად მომრავლდნენ ჩვენს ამჟამინდელ ხელისუფლებასა და პოლიტიკაში ჭრა-კერვის, ოღონდ, თერძებისგან განსხვავებით, ქსოვილის ნაცვლად კანონების საკუთარ თარგზე გამოჭრისა და საკუთარ ტანზე მორგების მოყვარულნი?




2

ისტორია

7

## თავადი ანდრონიკოვი: კაცი-გამოცანა



## „დატყვევებული ტრაქტორები", მულმატეხილი მიწის მუშაკი და...



4

მართლაც, „რა ჰქნას კარგმა მონარდემ?"

რა გველის ხვალ?

6

## გლობალიზაცია: მეცნიერებაზე დაფუძნებული ეკონომიკის პირმშო

## ხელისუფლებამ ერი უგულებელყო

3



- მოვა ახალი ილია...
- კახ-აბასებმა მეცნიერების ამოძირკვა დაიწყეს...
- ღმერთი, სამშობლო, ინდივიდი...

დედაქალაქი

5



## არქიტექტურაზე ძალადობა შეჩერდება?

თბილისის დღევანდელი იერ-სახე ამის საფუძველს არ იძლევა

# სახელმწიფო

● მაშ, ეს ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი ვინ არის, ასე რომ „გადაუარა“ სასამართლოს? რატომ აძლევს თავს კანონის, კანონიერების, სასამართლოსა და მისი გადაწყვეტილებისადმი ასეთი უპარდონო დამოკიდებულების უფლებას?



◎ მითხარი, ვის ბაძავ და...

# მისი უდიდებულესობა მამუკა (ლუდოვიკო) მეთოთხმეტე!

**რად მომრავლდნენ ჩვენს ამჟამინდელ ხელისუფლებასა და პოლიტიკაში ჭრა-კერვის, ოღონდ, თერძებისგან განსხვავებით, ქსოვილის ნაცვლად კანონების საკუთარ თარგზე გამოჭრისა და საკუთარ ტანზე მორგების მოყვარულნი?**

**ოდითგან ასე იყო: ზოგს მღვდელი მოსწონდა, ზოგს — მღვდლის ცოლი.**

**თუმცა ეს უფრო „ჩვეულებრივ მოკვდავებში“ იყო და არის ასე. გამორჩეულთ, პოლიტიკოსებს ხშირად სხვა საზომი და, როგორც სამხედროები იტყვიან, სწორების ორიენტირი აქვთ.**

ჩვენს პრეზიდენტს, მაგალითად, ათათურქი მოსწონს და მიაჩნია მისაბაძ პოლიტიკოსად.

ვერაფრით დაუწუნებ არჩევანსა და გემოვნებას: ათათურქი მართლაც დიდი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი და სახელმწიფოს ხელმძღვანელისთვის აუცილებელი თვისებებით დაჯილდოებული მოღვაწე გახლდათ, ფასდაუდებელი როლიც შეასრულა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ისტორიაში.

ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარეს კი ტეტჩერი ესიმპათიურება.

არც ეს გახლავთ გასაკვირი: „რკინის ლედიც“ გამორჩეული პოლიტიკოსი და უმაღლესი ხელისუფალი იყო საკუთარი ქვეყნისა.

ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს.

**ამიტომ ერთ ისტორიულ პერსონაჟსღა დავასახელებ, ვისაც, როგორც პრაქტიკით ჩანს, ჩვენი პოლიტიკური ელიტის უმეტესობა თუ არ ეტრფის, ბაძავს, ან, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს, რომ მიბაძოს მაინც.**

**ეს ლუდოვიკო მეთოთხმეტეა.**

**თუმცა, ჩემი დაკვირვებით, იმდენად თვით ის კი არ მოსწონთ, რამდენადაც — ფრთიან გამოთქმად ქცეული მისი სიტყვები: სახელმწიფო — ეს მე ვარ!**

ჰოდა, რაკი ხელისუფლებაში მოხვდნენ, როგორც სურთ, ისე ჭრიან და კერავენ... კანონებს, თვით კანონთა კანონს — კონსტიტუციასაც კი!

ხშირად ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად!

უფრო სწორად, ყველაფერი, ყველა დარგი თუ უბანი, სამინისტრო თუ უწყება, რომელიც სამართავად ჩააბარეს, ლამის თავიანთ საკუთრებად მიაჩნიათ.

აკი ამის გამო საოცრად გულწრფელი გაკვირვებით ამბობდა კიდეც ახლახან ტელევიზიით ერთი მინისტრი (ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, გვარს არ დავასახელებ — პეკინის ქუჩაზე რომ მდებარეობს, იმ სამინისტროს ხელმძღვანელიძ: **ჩემ სამინისტროში (დააკვირდით ამ გამოთქმას — „ჩემ სამინისტროში“ძ რამდენ კაცს შევამცირებ, ვისი საქმეა, ვის რაში ეკითხებაო(?!ძ.**

პოეტისა არ იყოს, მოდი და, ნუ გაოცდები!

თუმცა რა არის გასაოცარი: გასდით და იმადაც „ტირიან“ ეს ჩვენი თანამედროვე „ლუდოვიკოები“.

**თუმცა აქ ერთი საგანგაშო ტენდენციაც იკვეთება: რაც უფრო მეტად გასდით ეს ზედა ეშელონებში, მით უფრო მრავლდებიან პაწაწინა „ლუდოვიკოები“ ხელისუფლების შედარებით ქვედა ინსტანციებშიც.**

ერთი ასეთი „ლუდოვიკო“ გუშინწინ გამოჩნდა ტელეეკრანზე, რომელიც წინა დღეს იმავე ტელეეკრანიდან მის მიერვე ნათქვამს „აპანჩიკებდა“.

**თბილისის ვიცე-მერზე მამუკა ახვლედიანზე მოგახსენებთ.**

სწორედ მან ამცნო წინა დღით ტელემაყურებლებს, **ძველმა ხელისუფლებამ ქალაქის ამა და ამ ქუჩებზე აშენებულ თუ მშენებარე სახლებში მავანთა და მავანთ ბინის ორდერები გაუფორმა. ჩვენ, ახალი ხელისუფლება, ცხადია, ამ უსამართლობას ვერ შევურიგდებოდით, გავასაჩივრეთ ეს უკანონობა და სამართალმა პური ჭამა — სასამართლომ უსაფუძვლოდ თუ უკანონოდ გაცემული ორდერები გააუქმა და ის ხალხი ბინებს ვერ ეღირსებაო!**

კანონიერების, მით უფრო, დარღვეული კანონიერების აღდგენის და სამართლიანობის გამარჯვების საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, მე რომ მქონოდა.

მაგრამ, როდესაც საქმის არსში უფრო გავერკვიე, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სული ცოდვილო, ერთი რამ ძალიან კი გამიკვირდა: **სასამართლოს ბინის ორდერები ისე გააუქმებია, რომ მათი მფლობელები სხდომაზე არც კი გამოუძახებია და საქმის განხილვის პროცესში მათთვის მონაწილეობა არ მიულებინებია!**

იურისპრუდენციაში ჩემი არც თუ საფუძვლიანი ცოდნითა და კომპეტენციითაც კი ვხვდები, რომ **სამართლიან, დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს!**

ყოველ შემთხვევაში, თვით ყველაზე საეჭვო კერძო საკუთრების ამგვარად ჩამორთმევის უფლებას კანონიც რომ იძლეოდეს, სამართლიანობის გრძნობაგამახვილებული სასამართლო მაინც უნდა ატყობინებდეს ამას მეპატრონეს.

თუნდაც შემდგომში ინსინუაციების თავიდან აცილების მიზნით!

ეს, უბრალოდ, ადამიანური ქმედება იქნებოდა, ადამიანებო!

თუმცა დავანებოთ თავი მორალს, რომელიც ზოგიერთი თანამედროვე „ლუდოვიკო მეთოთხმეტისთვის“ დღეს შესაძლოა, სასაცილოც ჩანდეს, და კვლავ მთავარ სათქმელს მივუბრუნდეთ.

როდესაც უფალმა ვიცე-მერმა, ჩვენი პოლიტიკოსების საყვარელ გამოთქმას თუ გამოვიყენებთ, სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ტელეეკრანიდან სახალხოდ „გააჟღერა“ და ხალხისავე უკიდურესად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, მეორე დღეს „პლასტინკა“ ერთგვარად გადააბრუნა: **საქმე საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, თუ ზოგიერთს ორდერი დამსახურებულად აქვს მიღებული და ბინის დამთავრებაშიც თავად შეიტანს წვლილს, მას ამ საცხოვრისს მივცემთ თუ დავუტოვებთო,** — დაახლოებით ასე ბრძანა.

ვეჟო, გასაკვირია პირდაპირ!

**ორდერები, როგორც ვიცე-მერმა წინა დღეს ბრძანა, სასამართლოს გაუუქმებია თუ ჩამოურთმევია. თუ დაზარალებულთაგან ვინმეს დაუბრუნებენ ან აღუდგენენ ამ ორდერებს, ეს ისევ და ისევ სასამართლომ უნდა გააკეთოს.**

მაშ, ეს ვიცე-მერი ვინ არის, ასე რომ „გადაუარა“ სასამართლოს? **რატომ აძლევს თავს კანონის, კანონიერების, სასამართლოსა და მისი გადაწყვეტილებისადმი ასეთი უპარდონო დამოკიდებულების უფლებას?**

იმიტომ, რომ ლუდოვიკო მეთოთხმეტის მიბაძვა დღეს მოდაშია?

**ბაძვა არ არის კარგი და მოსაწონი საქმე. ბაძვით მორცხვიც გაურცხვდებისო, უთქვამს გენიოს პოეტს.**

**ურცხვი ხალხის ნაკეთები პოლიტიკა კი რა ხეირს დაგვაყრის?**

**ვინ და როდის მოუვლის ამ საქმეს?**
**ან მოევლება კი საბოლოოდ?**

**აბო შელია**

◎ სამხედრო ბაზა

# მოლა ნასრედინიდან — რუსულ გენერალიტეტამდე

**ერთი რუსი „ბარდი“ აკვნესებდა გიტარას, სადა ხართ ამხანაგო კაპიტანოო. მეტი სადლა უნდა იყოს, კურილიის კუნძულებზეც აამტვერა შარა მისმა ჩექმამ. მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია და ამხანაგ კაპიტანს ჯერ რომ ევროპის ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან ამოაძუებინეს კუდი, მერე კი თავისუფალ რესპუბლიკათა ურღვევი კავშირიდანაც, დიდმა რუსეთმა რომ სამუდამოდ შეადუღაბა, თანდათან უკრეს თავი და ზოგიც ახლა უქადის გუდა-ნაბადის აკვრას, ეს აცოფებთ და, რაკი ძალა ძველებურად ვეღარა ხნავს აღმართს, მოთქვამენ.**

ისე, კაცმა რომ თქვას, საწუწუნო ჯერ არაფერი სჭირთ — **დსთ-ში შემავალი 11 ქვეყნიდან, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები 9-ში განლაგებული**. უზბეკეთიც, ჩვენგან განსხვავებით, თითქოს იქეთ ეპატიჟება ამხანაგ კაპიტანს და, თუ ეს მართალია, ბაზებით „გაბედნიერებული“ ქვეყნების რიცხვიც დამრგვალდება — 10. ამიტომ „ბაზარი“, ბაზები გვიმცირდებაო, ვგონებ, ნაადრევია. მით უფრო, თუ ბაზების ასეთ განმარტებას ჩავუკვირდებით: სამხედრო ბაზები სპეციალურად მოწყობილი რაიონებია, რასაც სახელმწიფო თავისი შეიარაღებული ძალების განსალაგებლად იყენებს. მერედა, საკუთარი ტერიტორიის გარდა, დსთ-ს ქვეყნებიდან რომელია რუსეთის ფედერაციისთვის „თავისი?!“ ნამდვილად თავისი სულ გადაქოვილი აქვს, მაგრამ სხვისაზეც „უცილოგლოზს ვითა ჯორი“ — ჩემია, ჩემიაო...

არ ვიცი, შეიცვალა თუ არა რაიმე ამ მხრივ სამხედრო სტრატეგიაში, მაგრამ „სამხედრო საქმე“ ადრე ასე „გვმოძღვრავდა“ — არტილერიამ და ავიაციამ იქაურობა რომ გადახნას, ხოლო ტანკებმა „დააუთოოს“, ფეხოსნის შესვლამდე ის ტერიტორია დაპყრობილად, უკაცრავად, დაკავებულად არ მიიჩნევაო. ალბათ, ბაზები ასეთი დაკავების, პყრობის, უფლობის ერთგვარი გამოხატულებაა და, დასტურ სამხედრო ყოფნასთან ერთად, პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური დატვირთვაც აქვს, თორემ, ახლა რომ სამხედრო ტექნიკა და ტექნოლოგიებია, თუგინდ კოსმოსიდან, საცა დაუჭერ, პირდაპირ იქა ბუთქავ. მაგრამ ცუდად გაგებული პრესტიჟი? ასე ჩამოცრობილ-დაკნინებულად, სულში ჩაფურთხებულად რომ მიიჩნევს თავს რუსეთის ყველაზე აგრესიული ძალა — გენერალიტეტი?!

სამხედროების შემხედვარეს, ანეკდოტი გამახსენდა:

თემურ ლენგმა მოლა ნასრედინს დაუცაცხანა, გეყო არხეინად კოტრიალი, ლაშქრობაში წამოხვალო. რაკი ელდანაცემმა მოლამ ვერა და ვერა დაიძვრინა თავი, ჯარის შეკრების ადგილზე მხოლოდ შვილდით გამოცხადდა. ისრები რაღა უყავიო, დასჭექა მბრძანებელმა. ტყუილად რაზე ვათრიოო, ნირიც არ შეიცვალა ნასრედინმა. მტერს რა უნდა სტყორცნოო, იზლავლა თემურმა, იმათი ნატყორცნი ისრებიო, მშვიდად მიუგო მოლამ. რომ არ გვტყორცნონო, შეუღრინა მეფემ. მაშინ ხომ ომიც აღარ იქნებაო, ჩაეცინა ნასრედინს.



ერთი სახელმწიფო დამისახელეთ, თავდასხმის სამინისტრო რომ ჰქონდეს! ყველას — თავდაცვისა აქვს. ჰოდა, მამაცხონებულებო, თუ თავს არავინ გესხმის და არც თავად აპირებ ამას, ვისგანღა იცავ თავს? რაღა ოხრად გვინდა ეს თავდაცვის სამინისტროები და ამდენი ჯარი და შეიარაღება? ფუჭად ვყრით მილიარდებს? ადამიანის გონს ხომ ისე დახვეწილად, მიზანმიმართულად, შემოქმედებითად არაფერზე უმუშავია, როგორც მსგავსთა თვისთა გასანადგურებლად?!

არ ვიცი, როდის მოვეგებით გონს და მართლაც განვიარაღდებით. მანამდე კი, როგორც ითქვა, სამხედრო ბაზები ძლიერების დემონსტრირების, ფლობის ჟინის მოკვლის, პრესტიჟის აუცილებელი ატრიბუტია.

**აგერ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებულ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზებში 40 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე და 24 ათასზე მეტი სამოქალაქო პერსონალია.** ეს ბაზები, რუსი სპეციალისტების თქმით, რუსეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების განსაკუთრებული ინტერესების ზონებია. დიახ, ასეა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციისა და სუამის ჩამოყალიბების მიუხედავად. ნატოს გაფართოებაზეც ელეთმელეთი მოსდით — რუსეთისთვის ეს ერთობ სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური საფრთხეაო და, ამ კონტექსტში, ხელებს ასავსავებენ, არც საქართველო და, მით უფრო, უკრაინა ნატოში არა და არ უნდა შევიდნენო. თან დაურთავენ, ასეთ ვითარებაში, რუსეთს, ყოფილი საბჭოეთის ტერიტორიაზე თავისი სამხედრო წარმომადგენლობების გაზრდის გარდა, სხვა გზას არ უტოვებენო. მაგათ კი ეგრე უნდათ, მაგრამ საქართველოში ჯერხანობით შემორჩენილი ორი — ბათუმის მე-12 და ახალქალაქის 62-ე სამხედრო ბაზებიც, სადაც, 4131 სამხედრო და 1741 სამოქალაქო პირია დასაქმებული, ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროების შეთანხმების საფუძველზე, 2008 წლამდე აიბარგება. ალბათ, მათ მიჰყვებიან აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში განლაგებული „სამშვიდობოები“. შესაბამისად, 1800-მდე და 580 სამხედრო.

დსთ-ს სხვა ქვეყნებში, ჯერაც რომაა რუსეთის სამხედრო ბაზები, ასეთი ვითარებაა:

**აზერბაიჯანში რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ერთადერთი სამხედრო ობიექტია გაბალინის სარაკეტო თავდასხმის საწინააღმდეგო სადგური. იგი რუსეთ-აზერბაიჯანის 2002 წლის შეთანხმების საფუძველზე მოქმედებს;.**

**სომხეთში ბაზა გიუმრშია განლაგებული;**

**უკრაინაში, ორი ქვეყნის შეთანხმების თანახმად, რუსეთს იჯარით აქვს აღებული ობიექტები ყირიმში, სადაც რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ძირითადი ნაწილია განლაგებული;**

**ბელორუსიაში, ქალაქ ბარანოვიჩთან, სარაკეტო თავდასხმის საწინააღმდეგო სადგურია, ხოლო ქალაქ ვილეიკაში — სამხედრო-საზღვაო ძალების საკავშირო პუნქტი;**

**ყირგიზეთშია რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა. მისი მოდერნიზებისთვის რუსეთი ერთი მილიარდი რუბლის გაღებას გეგმავს;.**

**ყაზახეთში რუსული ჯარი კოსმოდრომ „ბოიკანურზეა“ დაბანაკებული. კოსმოდრომი რუსეთს საექსპლუატაციოდ 2050 წლამდე აქვს გადაცემული;**

**მოლდოვაში, სახელდობრ, ტირასპოლსა და დნესტრისპირეთის დასახლებულ პუნქტებში, რუსეთის სამშვიდობოები დგანან. აქვეა საჯარისო დანაყოფები. ისინი რუსეთის სამხედრო საწყობებს იცავენ.**

ნაღდად რუსული ყაიდის პარადოქსია — სამხედრო შენაერთების იქ ყოფნის სამართლებრივი ბაზა არის, აი, სამხედრო საწყობებისა კი — არა...

**თავად რუსეთის ფედერაციაში განლაგებულ სამხედრო ბაზებს რა ჩამოთვლის...**

**თურმე, რას ერჩი, რომ წუწუნებენ, მართლაც ერთობ შეთხელებულა რუსეთის სამხედრო წარმომადგენლობანი მისთვის დაუთმობელ, ვერგამეტებულ ყოფილ საბჭოეთში...**

**კონსტანტინე გურგენიძე**

„ერთადერთი ადამიანი, ვინც სამ უმთავრეს ღირებულებაზე გაამახვილა ყურადღება, პატრიარქია: ღმერთი, სამშობლო, ინდივიდი! — ასე დაალაგა მან იერარქიულად ეს სამი ღირებულება. ყველას შეგვახსენა, რომ პიროვნებაზე მაღლა დგას სამშობლო, სამშობლოზე მაღლა კი — ღმერთი...“



◎ მეცნიერის თვალთახედვით

# ხელისუფლებამ ერი უგულებელყო

## მოვა ახალი ილია...

**— ბატონო შოთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, განა, უპირველესი ეროვნული იდეა არ არის?**

— ხელისუფლების ქმედებამ აფხაზეთსა და შიდა ქართლს კიდევ უფრო დაგვაშორა, გაიზარდა რუსეთის მიერ მისი წართმევის საშიშროება. კონფლიქტების მოგვარება აუცილებელია, მაგრამ ეს უპირველესად გასაკეთებელი არ არის.

წლების განმავლობაში, ეს მხარეები კიდევ უფრო დაგვაშორეს. კონფლიქტების მოგვარების ბერკეტს ხელისუფლება ფლობს, ამბობს, რომ ეს მათი უპირველესი ამოცანაა, მაგრამ, ცხადია, ამის გადაწყვეტაზე ხელი არ მიუწვდება. ამ თვალსაზრისით, წლეულს უფრო მეტმა სირთულეებმა იჩინა თავი. რუსეთი ახლა უფრო საძაგელი მეთოდებით ჩაებღაუჭება ამ მხარეებს და მსოფლიოში ჩვენს წინააღმდეგ იბრძოლებს.

ასე რომ, კონფლიქტების მოგვარება კი არის უპირველესი ეროვნული იდეა, მაგრამ ქვეყნის გამაერთიანებელ უახლოეს ამოცანად ვერ გადაიქცევა. თუ ჩვენ ძალით შევალთ აფხაზეთსა და შიდა ქართლში, უარესობაა მოსალოდნელი; თუ შეუსვლელად დავიწყებთ პრობლემის გადაწყვეტას, არა მგონია, საგრძნობი შედეგი მივიღოთ. იქაური ხალხიც კი გადავიკიდეთ. მათი ხელისუფლება დღეს უფრო მტრულად არის ჩვენს მიმართ განწყობილი, ვიდრე ორი წლის წინათ. კიდევ უფრო გამოიკვეთა მათი უარყოფითი დამოკიდებულება. ამიტომ ეს იდეა ამ ეტაპზე გამაერთიანებლად ვერ გამოდგება“.

ბატონი შოთა ნადირაშვილი საქართველოს პოლიტიკურ უდაბნოდ მიიჩნევს, სადაც არ მოდის მოსავალი, რომელი ძალაც კი მოდის, საკუთარი გზა გაჰყავს, ხოლო საქართველოს არ ძალუძს თავისი ინტერესების დასაცავად ხმა ამოიღოს და მოსულს განუცხადოს ამ ინტერესების თაობაზე. „ამერიკას კი არ ვუყენებთ ჩვენს ინტერესებს, არამედ ვეუბნებით, რომ თქვენ რაც გინდათ, იმას გავაკეთებთ, ოღონდ, ჩვენ შეგვანარჩუნებინეთ ხელისუფლება. ჩვენი ქვეყანა დღეს პოლიტიკური და კულტურული უდაბნოა, მობრძანდით და, რაც გინდათ, გააკეთეთ, ოღონდ, რუსეთმა არ შექმნას რამე. მაგრამ, რასაც ამერიკა შექმნის, წლების შემდეგ იმის წინააღმდეგაც დაიწყება ბრძოლა.

მოვა ახალი ილია, ვინც იბრძოლებს თვითმყოფადობისთვის, ჩვენი თავი ჩვენადვე რომ გვეყუდნოდეს, რომ არ გავხდეთ ამერიკის რომელიღაც შტატი. სადღეისოდ, ამერიკამ პროგრესული რაღაცეები შეუძლია გააკეთოს, მაგრამ ჩვენი ინტერესები არ უნდა შებღალოს...



## კახ-აბასებმა მეცნიერების ამოძირკვა დაიწყეს...

შოთა ნადირაშვილი ფიქრობს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ეროვნული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ეროვნული მეცნიერება და ჯანმრთელობა უნდა განავითაროს; უნდა შეიქმნას ეროვნული იდეა, გეგმა და სტანდარტები, რომელსაც მოვემსახურებით, რათა ერი, როგორც სუბიექტი, გაძლიერდეს. ჩამოყალიბდეს მისთვის სასიკეთო კულტურული და მატერიალური მოძრაობები.

„დღეს რომ ქართველი ფულის საშოვნელად საზღვარგარეთ წავა, ერის დაშლაა. უნდა განვავითაროთ სოფლის მეურნეობა, რათა ვენახი არ აიჩეხოს, მეცნიერება უნდა ავაღორძინოთ. უწინ შაჰ-აბასი ვენახს ჩეხავდა, კახაბასებმა კი ერის წინააღმდეგ ბრძოლა მეცნიერების, განათლების, კულტურის ამოძირკვით დაიწყეს.

მიხეილ სააკაშვილი ჯერ პრეზიდენტი არ იყო, ახლად ჩამოყალიბებულ პარტიაში მეცნიერული კომიტეტი რომ შექმნა, მაშინ დამიძახა და მისი ხელმძღვანელობა მთხოვა. რამდენიმე თვე ვმართავრდით სხდომებს. დამპირდა, როცა ხელისუფლებაში მოვალთ, მეცნიერებაზე, აკადემიაზე ვიზრუნებთო... ამ თემაზე მრავალჯერ გვისაუბრია. ახლა ყველაფერი დაავიწყდა.

ერთხელ ვთხოვე, ყურადღება მიექცია მეცნიერთა პრობლემებისთვის, შეეშინდა. არ მიპასუხა. ცდილობს, ამ საკითხებში არ ჩაერიოს, მაგრამ მისი გაჩუმება უკვე ჩარევაა. როცა ლომაიას უფლებას აძლევს, დახუროს ინსტიტუტები, სკოლები და აკადემია, ეს სწორედ რომ ჩარევაა.

პრეზიდენტი გაორებულია. გრძნობს, რაც ხდება, ცუდია, მაგრამ კარგის გაკეთება არ ძალუძს“.

მეცნიერის აზრით, ფსიქოლოგიური განწყობის თეორიის, ექსტრავენტული და ინტრავენტული თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, სააკაშვილი გარეგნულად გამოირჩევა მკვეთრი მოქმედების უნარით და ძლიერი ნებისყოფით, მაგრამ შინაგან მოქნილობას მოკლებულია. სამაგიეროდ, ეს თვისება ჰქონდა ჟვანიას, მას შინაგანი ურთიერთობები მშვენივრად გამოსდიოდა.

„დიდ პოლიტიკაში წარმატებებს კი ინტრავენტული და ექსტრავენტული თვალსაზრისით სრულყოფილი პიროვნება მიაღწევს“, — ასკვნის ბატონი შოთა.

## ღმერთი, სამშობლო, ინდივიდი...

სარწმუნოებაზეც ვისაუბრეთ: „ერთადერთი ადამიანი, ვინც სამ უმთავრეს ღირებულებაზე გაამახვილა ყურადღება, პატრიარქია: ღმერთი, სამშობლო, ინდივიდი! — ასე დაალაგა მან იერარქიულად ეს სამი ღირებულება. ყველას შეგვახსენა, რომ პიროვნებაზე მაღლა დგას სამშობლო, სამშობლოზე მაღლა კი — ღმერთი...“

დღეს ეკლესიასაც ებრძვიან, მაგრამ ბატონი შოთას თქმით, ამ ბრძოლაში პატრიარქმა შემწყნარებლური და თანამშრომლობის პოზიცია დაიკავა: „იგი მხოლოდ სიკეთეს ემხრობა. ამიტომ ძნელია მასთან ბრძოლა, თავგანწირულია. ის გეუბნება, მე შემწყნარებელი ვარ, შენ კი უმართებულოდ მექცევი. სჯობს, დაუფიქრდე საკუთარ საქციელსო...“

მეცნიერის თქმით, პატრიარქი მშვენივრად ფლობს ცოდნას ადამიანის ბუნების შესახებ. სწორედ მან განაცხადა ხმამაღლა, ქართველ ახალგაზრდობას ანალიტიკური აზროვნება ვასწავლოთო! საქართველოში, სამწუხაროდ, პარტიებმა საკუთარი პოზიციების დამცველი აზროვნება გაამეფეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უმალ გაილაშქრა ამ მავნე ტენდენციის წინააღმდეგ. „პარტიებმა, პოლიტიკაში მოღვაწე ადამიანებმა ხშირად უნდა გაითვალისწინონ პატრიარქის დარიგებები. ამა თუ იმ პარტიამ მხოლოდ პიროვნება კი არ უნდა დაიცვას, პიროვნებისა და ერის დამცველი უნდა გახდეს“, — ასკვნის შოთა ნადირაშვილი.

**თამარ შაიშმელაშვილი**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 7-8.**

◎ ინფორმაცია

## სეპარატიზმს საინფორმაციო ბაზა უშველის?

**სამი თვითგამოცხადებული რესპუბლიკა — აფხაზეთი, ე. წ. სამხრეთ ოსეთი და დნესტრისპირეთი ერთიან საინფორმაციო ბაზას ქმნიან. სამი რესპუბლიკის ერთიანი საინფორმაციო ცენტრი სეპარატისტული რესპუბლიკების მიერ შექმნილი საზოგადოების „დემოკრატიისა და ხალხთა უფლებებისათვის“ ბაზაზე იმოქმედებს.**

**ჩვენს რესპუბლიკებზე ზეწოლა განუხრელად იზრდება და ბევრი ურთიერთგამომრიცხავი და ცრუ ინფორმაციით ვრცელდება. ამიტომაც ერთიანი საინფორმაციო წყარო საშუალებას მოგვცემს, საზოგადოებას ჭეშმარიტი ინფორმაცია მივაწოდოთ, — ამბობენ საზოგადოების წევრები.**

## ლეიბორისტები უგულავას უტევენ

**ლეიბორისტული პარტია, თბილისის მერის გიგი უგულავას გადადგომის მოთხოვნით, ხელმოწერების შეგროვებას იწყებს. ამის შესახებ დღეს პარტიის ოფისში საგანგებო ბრიფინგი გაიმართა. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი გუგავას განცხადებით, გიგი უგულავას მერის თანამდებობაზე არჩევის შემდეგ დედაქალაქის მცხოვრებთა მდგომარეობა გაუარესდა, რაც ძირითადი მიზეზია მერის გადაყენების მოთხოვნისა.**

**— გიგი უგულავა ფოჩიანი კანფეტივით არიგებდა დაპირებებს წინასაარჩევნო პერიოდში. აღმოჩნდა, რომ თბილისის მერი სულ სხვა საპირისპირო მიმართულებით მიდის და კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც გაუსაძლის პირობებში მცხოვრები თბილისელების ყოფას. სწორედ გიგი უგულავას სახელს უკავშირდება თბილგაზის გაყიდვა, ქალაქის უმწეო მოქალაქეებისთვის სოციალური შეღავათების გაუქმება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, გადადგეს გიგი უგულავა მერის თანამდებობიდან და ამისათვის მოსახლეობაში ხელმოწერების შეგროვებას ვიწყებთ, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ გიორგი გუგავამ.**

## ლიცენზიებში ინოვაციები დაფიქსირდა

**2006 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემულ ლიცენზიებში ინოვაციები დაფიქსირდა.**

**თერჯოლის რაიონში საცემენტე ნედლეულით სარგებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად გამართულ აუქციონზე, ლიცენზიებისა და ნებართვების ახალი სისტემის შექმნიდან ყველაზე მაღალი ლიცენზიის ფასი — 47,58 მლნ ლარი დაფიქსირდა, თუმცა გამოტანილი ობიექტის საწყისი ღირებულება 1,3 მლნ ლარს შეადგენდა.**

**სამინისტროს ინფორმაციით, ინოვაციას წარმოადგენდა, აგრეთვე, თევზჭერის გრძელვადიანი ლიცენზიის მოსაპოვებლად აუქციონის ჩატარება, რომელზეც შავ ზღვაში 2006-2015 წლებში თევზჭერის ლიცენზია გაიცა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ რაღა გვიჭირს!

## საქართველოში 88 060 ტონა ხორბლისა და ფქვილის მარაგია

**2007 წლის 15 იანვრის მონაცემებით, საქართველოში ხორბლისა და ფქვილის ნაშთი სულ 88 060 ტონას შეადგენს. აქედან, თბილისის წისქვილქარხნებში ხორბლის ნაშთი 18 300 ტონაა, აჭარაში — 8 950, კახეთში 3 000. ხორბლის დანარჩენი რაოდენობა რაიონების მიხედვით გადანაწილდა.**

**ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წლის დასაწყისისთვის ქვეყანაში ხორბლისა და ფქვილის მარაგის მცირე რაოდენობა ფიქსირდებოდა. წელს პირველი პრეცედენტია, როცა გასული წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში ხორბლისა და ფქვილის მარაგის რეკორდული მაჩვენებელია (88 060ტ).**

**უახლოეს მომავალში უკრაინიდან და ყაზახეთიდან საქართველოში დამატებით 33 000 ტონა ხორბლის შემოტანა იგეგმება.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ინფორმაცია

## დაზღვევა სავალდებულო გახდება?

**2009 წლიდან, შესაძლოა, დასაქმებულთა სამედიცინო დაზღვევა სავალდებულო გახდეს. ეს დამქირავებლის მიერ დაქირავებული მუშაკის მინიმალური სადაზღვევო პაკეტით უზრუნველყოფას გულისხმობს (სტაციონარული მომსახურების გათვალისწინებით).**

თბილისის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მამუკა ქაცარავას განცხადებით, საქართველოში სავალდებულო დაზღვევის დაწესება აუცილებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველმა დამსაქმებელმა დასაქმებული სადაზღვევო პაკეტით უნდა უზრუნველყოს.

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის გიგი წერეთლის განცხადებით, სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა ამ ეტაპისთვის ვერ გაამართლებს, რადგანაც ჯერჯერობით მოსახლეობა სოციალურად გაჭირვებულია და მათთვის დამატებითი გადასახადების დაკისრებანაადრევია.

„საქართველოში თეორიულად შესაძლებელია, რომ სამედიცინო დაზღვევა სავალდებულო გახდეს, თუმცა ამას საკმაოდ მძლავრი და გამოცდილი მენეჯმენტი სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საკმაოდ დაბალი გადასახადებია, სოციალური სისტემა არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დაზღვევა სავალდებულო გახდეს“, — აცხადებს წერეთელი.

წერეთელი მიიჩნევს, რომ საქართველოში დაზღვევის ბაზარი ჯერჯერობით არ არსებობს.

## სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტი გაუქმდა

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტი და ბიუროები გაუქმდა. ეს უწყება პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენასა და სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის სხვა საკითხებს ემსახურებოდა.**

2007 წლის 1 იანვრიდან დასკვნების გამოტანის უფლებამოსილება სამედიცინო დაწესებულებებს გადაეცა, რომელთა ჩამონათვალს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენტური სამსახური საჯაროდ 1 მარტიდან გამოაქვეყნებს.

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის საკითხებზე სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს და ზედამხედველობას ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება — სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო განახორციელებს.

ჯი-ეიჩ-ენი

№ 9. ოთხშაბათი, 17 იანვარი, 2007 წელი.

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკებმა დღემდე ვერ გაარკვიეს, რისთვის სხედან რბილ სავარძლებში, რისთვის იღებენ გვარიან ხელფასებს. გაოგნებული კახელები გულისტკივილით კითხულობენ, კახეთი მარტო თვალის საამებლად და საქეიფოდ სჭირდებათო?**



## რამდენი რამე გტკივა, სოფელო...

# „დატყვევებული ტრაქტორები“, გულგატეხილი მიწის მუშაკი და...

## *მართლაც, „რა ჰქნას კარგმა მონარდემა?“*

***თანასოფლელ ჯემალ ბერიაშვილს იანვრის ერთ ჩვეულებრივ დღეს მოულოდნელად გადავაწყდი თავისუფლების მოედანზე. მოულოდნელად-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ იგი ჯერ კიდევ ათითორმეტი წლის წინათ დაემშვიდობა დედაქალაქს და მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა, მამისეულ სახლს მიეპატრონა, ეზო-კარი დააკრიალა, გაიჩინა საქონელი და ფრინველი, დილაადრიან, როცა მეზობლებს ისევ მამაპაპური ძილით ეძინათ, მხარზე თოხგადებული მიდიოდა ვენახში. წვალობდა, ცხრაპირ ოფლს ღვრიდა, რომ მარჩენალი მიწისთვის რაიმე წაერთმია. არც თაკარა მზეს დაგიდევდა და არც ჟინჟღლიან, მოსაწყენ ამინდს - მისთვის ვენახსა თუ ყანაში ყოველთვის მოიძიებოდა სამუშაო. ყველას კი უკვირდა მისი თავგამოდება — არც შვილი ჰყავდა და არც ძირი. მაინც არ ისვენებდა, მაინც აწუხებდა საკუთარ ჯანსა და მიწას...***

ასე გამოწვლილვით იქიდან ვიცი ყველაფერი, რომ იმ დროს მეც სოფელში გახლდით და ჯემალი ყოველდღე ჩემი სახლის წინ გაივლ-გამოივლიდა ხოლმე, სოფლის სალაყბოზე მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდა, როცა ყველა საქმეს მოილევდა და სულის მოთქმა ესაჭიროებოდა. ყველას თვალს იტაცებდა მისი ბოჩოლები და ჭრელაჭრულა იხვები, ეზოს მახლობლად გუბეში რომ ჭყუმპალაობდნენ. მერე ავტომანქანა შეიძინა. **ერთი სიტყვით, ქალაქის ცხოვრებას მიჩვეული ახალგაზრდა კაცი გადასხვანაირდა, სოფლის რიტმს მოერგო და თავის საზრუნავში ჩაიძირა.**

ამიტომაც გამიკვირდა ქალაქში ასე მოულოდნელად მისი გამოჩენა. გავიხსენეთ ცისა და მიწისა, იქით მეზობელ-მოკეთეებს გადავწვდით, აქეთ უკვე უკან მოტოვებული შემოდგომა გავიხსენეთ. თვითონ კი კარგი მოსავალი მოუწევია, მაგრამ ვერ დავიჩემებ, რომ ბედით კმაყოფილი იყო. **ღვინის ქარხნებმა რა ყურძენიც შეისყიდეს, საფასურის ნახევარიც არ გადაუხდიათ, ხალხმა გასამრჯელოს მისაღებად სიარულში ასფალტი გაცვითაო. არც პრეზიდენტის დანატოვარ მინისტრებსა და მათ მოადგილეებს შეუწუხებიათ თავი, ვისაც როგორ მოეპრიანებოდა, კილოგრამ ყურძენს იმ ფასად იღებდა. ბევრმა მეურნემ ზვრის მოვლა-პატრონობაზე დახარჯულიც ვერ აინაზღაურაო.**

ამ მოუგვარებელ პრობლემაზე გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ წლების მანძილზე აქვეყნებდა როგორც ჩემს წერილებს, ისე სხვა გულშემატკივართა გამოხმაურებებს, მაგრამ რად გინდა, შემსმენელი არავინ არის, ყველაფერი ძველებურად გრძელდება, აქაოდა საბაზრო ეკონომიკაა, ყურძნის ფასიც ბაზარმა უნდა დაარეგულიროსო. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ არც ის არის სადავო, რომ მცირე მეწარმეთა ინტერესების დასაცავად სახელმწიფო სამსახურებს თავისი გამოკვეთილი პოლიტიკა უნდა ჰქონდეთ. წლები მიდის, ეს პოლიტიკა კი არა და არ ჩანს. საქმე იქამდე მივიდა, რომ კახეთის ბევრს სოფელში აშკარად გაისმა მუქარა ვენახების გაკაფვის თაობაზე. საუბედუროდ, ზოგიერთმა დანაქადნი შეასრულა კიდეც...

ახლა სხვა საწუხარი გასჩენია სოფელს. გვახსოვს, პრეზიდენტმა ოცდახუთი ტრაქტორი რომ აჩუქა გურჯაანელებს. როგორც ჯემალ ბერიაშვილმა მითხრა, დღეს იმ ტრაქტორთა უმეტესობა გამოუყენებელია იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ... სოფლებში სატრაქტორო ტრასები აღარ არსებობს. მაგალითად, სოფელ მუკუზანს ორ ნაწილად ჰყოფს თბილისი-თელავის ავტომაგისტრალი. სავარგულები რომ მოიხნას და დამუშავდეს, ტრაქტორი გზის იქითაც უნდა გადავიდეს და გზის აქეთაც, მაგრამ, აბა, გაბედოს ვინმემ და გზა გადაჰკვეთოს — დაბარებულებივით წამსვე იქ გაჩნდებიან პოლიციის მუშაკები და წესის დამრღვევს აჯარიმებენ, გზას რატომ აფუჭებო!

— ამას წინათ თქვენი გაზეთი წერდა ამის თაობაზე. იმის შემდეგ საკმაო დრო გავიდა, შეცვლით კი არაფერი შეცვლილა — ტრაქტორები ისევ „შინაპატიმრობაშია“. რაიონული ცენტრიდან კაციშვილი არ გადმოსულა და არ დაინტერესებულა საკითხის მოგვარებით. საყანე ფართობები და ვენახები მოუხნავ-დაუმუშავებელია! ხელიდან გვეცლება ხელსაყრელი ამინდები და აღარ ვიცით, როდის რა უნდა მოვასწროთ, — შემომჩივლა ჯემალმა. მერე იმით დაინტერესდა, მთავრობაში გაზეთებს კითხულობენ თუ არა, და თუ კითხულობენ, თავს რატომ არავინ იწუხებს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, როდემდე შეიძლება ასეთი განუკითხაობაო? განა ის პროდუქტი, ჩვენ რომ უნდა მოვიწიოთ, ქვეყანას არ აკლდება? ან სოფელი როდემდე მოითმენს ასეთ გულგრილობას?



ეჰ, ჩემო ჯემალ! ასეთი სადავიდარაბო საკითხები იოლად რომ გვარდებოდეს, დღეს ამდენი სათავცემო აღარ გვექნებოდა! მე მგონი, **სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკებმა დღემდე ვერ გაარკვიეს, რისთვის სხედან რბილ სავარძლებში, რისთვის იღებენ გვარიან ხელფასებს. მახსოვს, გაოგნებული კახელები როგორი გულისტკივილით კითხულობდნენ, კახეთი მარტო თვალის საამებლად და საქეიფოდ სჭირდებათო? მართლაც, არ მახსოვს, თბილისში რომელიმე საპატიო სტუმარი ჩამოვიდეს და კახეთში არ გაასეირნონ.** რითაც მთავრდება ეს გასეირნებები, ყველამ ჩინებულად ვიცით, მაგრამ საიდან მოდის ის უხვი სუფრები, არავინ კითხულობს...

სოფელი მართლაც მძიმე კრიზისშია. ჯერჯერობით თავქვე დაქანებული ურემივით ინერციით მიდის. მცირე წინააღმდეგობაც და უეჭველად გაჩერდება. აი, მერე კი მართლა დიდი ძალისხმევა იქნება საჭირო, ადგილიდან ისევ რომ დაიძრას. არ ვიცი, როგორია სამინისტროს სამომავლო გეგმები, მაგრამ ის კი დაბეჯითებით ვიცი, რომ ზამთარი გაივლის, გაზაფხულიც მიჰყვება და ზაფხულიც, ისევ მობრძანდება შემოდგომა და ისევ გადმოიღვრება მავანთა ცრუ დაპირებები, ისევ მარტოდმარტო დარჩება გლეხი თავის საფიქრალ-სადარდებელთან...

— თუ ავტო და სარკინიგზო მაგისტრალზე საგანგებო ბოგირები ან გვირაბები არ აშენდა, არაფერი გამოვა, — ისევ ალაპარაკდა ჯემალ ბერიაშვილი. — მაინტერესებს, რას მეტყვიან სოფლის მეურნეობის სამინისტროში? **მუკუზნელები თანახმანი არიან, რომ ყველა სამუშაო თავისი ხელით შეასრულონ, მაგრამ სამშენებლო მასალებს ვინ გამოყოფს? საქართველოს რკინიგზა მაინც ხომ არ მოგვეხმარება?**

— საქართველოს რკინიგზის პოზიცია ასეთ საკითხებზე ჩემთვის ცნობილია, — ისინი ყველაფერს მოგახმარენ — მასალებსაც და ტექნიკასაც, ოღონდ ხარჯები ადგილობრივმა ბიუჯეტმა უნდა იტვირთოს. მზადა ხართ საამისოდ?

— აბა, რა გითხრა. სოფელს რომ მაგის საშუალება არ გააჩნია, ნამდვილად ვიცი, რაიონი კი შეიწუხებს თავს?

როგორც ვხედავთ, პრობლემა გლობალურია, რადგან მუკუზნელების დღეში არიან ჩუმლაყელებიც, ახაშნელებიც, ვაზისუბნელებიც, შაშიანელებიც... მე მგონი, ამ მხრივ არც თელავის რაიონში უნდა იყვნენ გულარხეინები. ასე რომ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, თუ სოფელზე ნამდვილად შესტკივა გული, თავი უნდა მოიფხანოს. ბოლოსდაბოლოს, რაღაცით ხომ უნდა გამოხატოს სოფლის მშრომელებისადმი მხარდაჭერა? ეს მისი სისხლხორცეული საქმეა...

მერე, ვიდრე რუსთაველის პროსპექტს ავივლიდით, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, სხვა თემაზე განვაგრძეთ საუბარი. **სიტყვა ჩამოვარდა მუკუზნიდან თვრამეტიოდე კილომეტრით დაშორებულ, ვახტანგ გორგასლის დროინდელ ციხე-ქალაქ ჭერემზე. ერთ დროს აქ საეპისკოპოსოც იყო და ცხოვრება დუღდა. მერე ხან გარეულმა მტერმა იძალა, ხან შიდაპოლიტიკური ვითარების შეცვლამ და ჭერემმა დაკარგა თავისი ადრინდელი სტრატეგიული მნიშვნელობა. ჩემს ბავშვობაში ეს იყო პატარა, მაგრამ ჯანიანი სოფელი, რომელიც თითქმის ყველაფერს აწარმოებდა და სახელმწიფოსთანაც პირნათელი იყო.** ველისციხის ბაზარზე დიდად ფასობდა ჭერემული გოჭი და ქათამი, ცხვარი და ძროხა, ყველი და ერბო, მატყლი და წინდები — ყველაფერი, რაც ადამიანს ესაჭიროებოდა. ის კი არა, ჩამოჰქონდათ ეგრეთწოდებული „თავის მიწა“, რომელსაც ხალხი დასაბანად და გასარეცხად საპნის მაგიერ ხმარობდა. ჭერემელთა მშვიდ გარჯას ბზარი სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობამ გაუჩინა.

საიდან სადაო? — იკითხავს მავანი. საიდან და, როგორც მაშინ ხდებოდა ხოლმე, სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობისათვის საჭირო მუშახელს რუსეთიდან უპირებდნენ შემოყვანას. რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა პატრიოტული შორსგახედულობა გამოიჩინეს და განაცხადეს, მუშახელის პრობლემას ჩვენ მივხედავთო. არადა, ყველამ იცის, შემოყვანილი მუშახელი უკან გაბრუნებას რომ აღარ ჩქარობდა — ჰავაც მოსწონდა აქაური, მიწაც, ბარაქაც და სტუმართმოყვარეობაც. საკავშირო მთავრობაც ამიტომ იყო ხოლმე გულუხვი — ახალ-ახალი მეხუთე კოლონა შემოჰყავდა! ამ შემთხვევაში ნამდვილად მოხდა სასწაული და მოსკოვმა თბილისის წინადადება მიიღო.

**მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა მიუტევებელი დანაშაულიც ჩაიდინეს — ხელი მოუსვეს და ჭერემისთანა მთის ბევრი სოფელი პირწმინდად დაცალეს. დიახ, ჭარბი მოსახლეობისგან კი არ გამოათავისუფლეს, მთლიანად გააუკაცურეს!** ჭერემელებსაც ბარემ რომ არ ეთმობოდათ თავისი სამკვიდრო, სადაც ყოველნაირად განწყობილი მეურნეობა ჰქონდათ, მაგრამ მათ აზრს ყურადღება არავინ მიაქცია, რამდენიმე მოსახლე მაინც გაჯიუტდა და ხელისუფლების ნებას არ დაჰყვა. არც ამათ დაიხიეს უკან და... გადაცმული მილიციელები მიუსიეს. თავ-ყბაც დაუნაყეს, სისხლიც ბლომად ადინეს, სარჩო-საბადებელიც წაართვეს და პირიც ბარისკენ უყვეს.

ასე თანდათან ჩაქრა სიცოცხლე ჭერემში, რომელსაც ოდესღაც საქართველოს სვებედში თავისი სიტყვა ეთქმოდა: ბევრი მათგანი დღესაც სახლობს გამარჯვებაში და სინანულით იგონებს თავის წყალ-ჭალებს, ატეხილ ტყეებს და საოცრად სუფთა ჰაერს...

მერე დრონი იცვალნენ — დადგა დათბობის ხანა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ დიდი რიხით მიიღო მთის აღორძინების პროგრამა. ყოფილ ჭერემელებსაც გამოუცხადეს, ვისაც სურს, სოფელს დაუბრუნდეს, საცხოვრებლების აღდგენაშიც მივეხმარებით და საჭირო საკარმიდამო ფართობებსაც გამოვუყოფთო. ბევრმა დაიჯერა ეს დაპირება და ჭერემს დაუბრუნდა. ოთხმოციან წლებში ასე მოიქცნენ მუკუზნელი სულხან ხარებაშვილი, შაქრო ბარბაქაძე, ჯაჭვაძეები, აბესაძეები. სამოცდაათამდე კომლმა მოიყარა თავი. ძირითადად ხანდაზმულები იყვნენ, მაგრამ მაინც ააღორძინეს იქაურობა. ზაფხულის ერთ დღეს მეც შევუერთდი სულხან ხარებაშვილის მამითადს და სიმინდის თოხნაში მივეხმარე. თვით სულხანმა საცხოვრებელი ხომ აღადგინა და აღადგინა, ტრაქტორიც შეიძინა და საქონელიც. ხნავდა, თესავდა, ოჯახისთვის საჭირო მოსავალიც მოჰყავდა და მოჭარბებულს ჰყიდდა კიდეც. „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“.

**და ჭერემში დაბრუნებულებსაც თანდათან შეაპარეს, ამხელა საკარმიდამოები არ გეკუთვნითო. ხალისი განელდა, თუმცა ბევრი დაბრუნებული მაინც ჯიუტად განაგრძობდა თავის (უფრო სწორად — ქვეყნის!ქ საქმეს.**

მთაში მიგრაციას სხვა კარგი ჩანაფიქრიც მოჰყვა: ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლებმა ჭერემში გზის გაყვანა გადაწყვიტეს. ამ საქმეში საპროექტო ორგანიზაციებიც ჩაერივნენ, ვინაიდან ახალი გზა ბევრ სიკეთეს გულისხმობდა: **მთელი 25 კილომეტრით მოკლდებოდა თბილისთან დამაკავშირებელი კახეთის გზა. გარდა ამისა, იზრდებოდა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოება, რადგან ახალი ტრასა გვერდს აუქცევდა მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებს — ახაშენს, ჩუმლაყს, გურჯაანს, კოლაგს, ძირკოკს, ბაკურციხეს და პირდაპირ ჩალაუბანში გადიოდა.** მშენებლებმა თქვეს და ბარც დაჰკრეს — მდინარე ჭერემხევის მარჯვენა ნაპირზე ტექნიკა აამუშავეს. სამწუხაროდ, მათ ყური არ მიუგდეს გამოცდილი, ცხოვრებანანახი ადამიანების, თუნდაც შაქრო ბარბაქაძის რჩევას, გზას მარჯვენა მხარეს კი ნუ გაიყვანთ, მარცხენა მხარეს გაიყვანეთ, რადგან ათადან და ბაბადან გზა ასე იყო — მდინარე წყალდიდობისას დიდად არ აზიანებდაო. არავინ დაიჯერა და...

დღეს იმ გზის უბადრუკი ნარჩენებილაა — წყალმა წაილო ასობით ბეტონის ფილა. კარგი ჩანაფიქრი შეუსრულებელი დარჩა და ჭერემის აღორძინებასაც წერტილი დაესვა.

სოფელ ჭერემის სავალალო ბედი 25 დეკემბერს ტელეარხმა „იმედმა“ „ქრონიკის“ ერთ-ერთი სიუჟეტით გააშუქა. ლამის ტიროდნენ ნაზიბროლა ჩაფიძე, ლალი და ნინო ჯაჭვაძეები, არც სინათლე გვაქვს, არც გზა-კვალი, არც აფთიაქი და არც ამბულატორია. **მთელს სოფელს ერთი ნახშირის უთო აქვს და იმით გადის იოლას. რამდენიმე თვეა, სამ მასწავლებელს გასამრჯელო არ მიუღია. უავტობუსობის გამო აქაურებს თვრამეტი კილომეტრის წალმა-უკულმა გავლა ფეხით უხდებათ.**

აი, ამ საკითხებზე ვისაუბრეთ მე და ჯემალ ბერიაშვილმა, ვიდრე რუსთაველის მეტროსთან ამოვიდოდით. მე სამსახურში გავიჩქარე, იმან — სოფლის მეურნეობის სამინისტროსკენ იმ იმედით, იქნებ ჩვენმა გასაჭირმა ვინმეს გულის სიმები შეუტოკოს და მოგვხედონო. ის კი აღარ ვიცი, მივიდა თუ არა სამინისტროში და თუ მივიდა, რა პასუხი წაუღო თანასოფლელებს. მე კი იმედს ვებღაუჭები, ვთქვათ და გატყდეს ნავსი, მაგრამ... ვაი, რომ თავს ვიტყუებ.

**იქნებ ვცდები, ჩემო მკითხველო?**

**ელგუჯა ლებანიძე**

# როგორ ვცხოვრობთ?

● თუ მეპატრონე ძებნაშია, მაშინ ამ შენობას სახელმწიფო განკარგავს და აუცილებლად გაიყიდება, ხოლო მოსახლეობას, ვისაც მის აგებაში წილობრივი მონაწილეობა აქვს მიღებული, ახალ კომპანიონთან ახალ ხელშეკრულებებს გააფორმებს ისე, რომ მისი უფლებები არ დაირღვეს. ასეთი წესით ყველა მშენებარე ობიექტი მალე დასრულდება და ხალხი ბინებით დაკმაყოფილდება



◎ დედაქალაქი

## არქიტექტურაზე ძალადობა შეჩერდება?

### თბილისის დღევანდელი იერ-სახე ამის საფუძველს არ იძლევა

*„სოფლის შენებას რა უნდაო,“ ალბათ, ამ მულტფილმის გმირად წარმოიდგინა თავი ზოგიერთმა მშენებელმა და „ღილინ-ღილინით“ ქალაქის „შენება“ გადაწყვიტა. თუმცა შეცდა, რადგან ქალაქი სოფელში აერია და შენობა თბილისისთვის შეუფერებელი, უსახური გამოუვიდა.*

*ესეც არაფერი, ბევრი მათგანი ბოლო ათი წლის განმავლობაში შექმნილმა ქაოსმა ისე შეაგულიანა და წააქეზა, რომ დაწყებული მშენებლობის დასრულებაც ველარ (თუ არა!) შეძლო, სულ კარგად ბრძანდებოდეთო, ქუდი დაიხურა და გაუჩინარდა. ჩვენ კი „შემოსავ-დაუვარცხნელი“ ნაგებობები შეგვატოვა...*

*დაუმთავრებელი კარკასები დღემდე ამაოდ ელიან პატრონებს.*

*დაწყებულ „სახლობანას“ დღევანდელმა ხელისუფლებამ თითი დაუქნია და გაზრდილი საჯარიმო სანქციებით დახუნძლული ახალი კანონი საახალწლოდ ჩვენს მშენებლებს ცხვირწინ აუფრიალა, სადამსჯელო სადავეები კი მთლიანად მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს გადაულოცა, რომელსაც „არქმშენის ინსპექციის“ როლიც აკისრია.*

*ახალი კანონმდებლობის თანახმად, უკანონო ან პროექტის აშკარა დარღვევით მშენებლობისთვის ჯარიმა ორასიდან 30 ათას ლარამდეა. ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოტანილი „ვერდიქტი“ დაუყოვნებლივ სრულდება და მას სასამართლოში შეტანილი საჩივარიც კი ვერ შეაჩერებს.*

*ბოლო მოეღება თუ არა უკანონო მშენებლობებს და რა სანქციები ამოქმედდება კანონდამრღვევების წინააღმდეგ, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი საგინაშვილი გვესაუბრება.*

— თამამად შემიძლია გითხრათ, რომ დღეს არც ერთი უკანონო მშენებლობა აღარ მიმდინარეობს. შარშან მსგავსი მშენებლობების შესაჩერებლად დიდი ძალისხმევა გვჭირდებოდა, მინიმალურ ჯარიმას – 6 ათას ლარს მშენებელი იოლად იხდიდა, ამიტომ დარღვევასაც არ ერიდებოდა, ახლა კი სანქციები გამკაცრდა და თანხა 30 ათას ლარამდე გაიზარდა, რომელიც მშენებელმა სამ თვეში უნდა გადაიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენობა ჩამოერთმევა და აუქციონზე გაიყიდება, ამის შემდეგ, იმედია, უკვე სიფრთხილეს გამოიჩენენ, რადგან იციან, ნებისმიერ დარღვევას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება.

**– ახალი კანონი ვინმეს დასაჩაგვრად, შენობის წასართმევად და ბიუჯეტის შესავსებად ხომ არ შექმნილა? მხოლოდ მკაცრი სანქციებით შევძლებთ ამ ქაოსის შეჩერებას და ქალაქის იერსახის მოწესრიგებას?**

– კანონში შეტანილი ცვლილებებით პროცედურებიც გამარტივდა, კანონდამრღვევს ჩვენი სამსახურიდან პირდაპირ ეძლევა მითითება და ვადები, თუ მშენებელი ჩვენს მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე შეგვიძლია შენობის გაყიდვა ან დემონტაჟი. დაუმსახურებლად არავინ დაისჯება.

აუქციონზე გაყიდვა, ძირითადად, დაუმთავრებელ შენობებს მოუწევს. ამ შემთხვევაში მყიდველი იგივე ვალდებულებებს ავტომატურად კისრულობს, რაც ძველ მეპატრონეს ჰქონდა.

**– რა ბედი ეწევა უკვე აშენებულ „უკანონო-კანონიერ“ შენობებს, სადაც ხალხი უკვე წლებია ცხოვრობს, მაგრამ ბინა საჯარო რეესტრში ჩაბარებული არ არის?**

– მსგავს საკითხებზე მომზადებული კანონპროექტი გადაგზავნილია პრეზიდენტთან, მისი გადაწყვეტილების შემდეგ, შესაძლებელი გახდება, თუ შენობა ყველანაირ არქიტექტურულ ნორმას აკმაყოფილებს და სეისმურად მდგრადია, მშენებლის მიერ შესაბამისი ჯარიმის გადახდის შემდეგ ექსპლუატაციაში შევიდეს.

**– თუ შენობა აღნიშნულ ნორმებს ვერ აკმაყოფილებს, მაშინ, როგორ მოიქცევით? ამბობენ, რომ თბილისში უხარისხოდ აშენებული ბევრი სახლია, მათ შორის ვაკის პარკთან აშენებულ ერთ-ერთ კორპუსსაც ასახელებენ, რომელსაც დამატებით 5 სართული დააშენეს, ამან კი ლიფტის გვირაბის დეფორმაცია გამოიწვია და ამიტომ ხალხი დღემდე ვერ შედის საცხოვრებლად.**

– არ ვიცი, ასეთი ჭორი საიდან გავრცელდა, ეს შენობა უნიკალურია და იქ მცხოვრებთათვის



არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს, ხალხი კი ჯერ იმიტომ არ ცხოვრობს, რომ ბინა სახელმწიფო კომისიის მიერ არ არის მიღებული. დამერწმუნეთ, თუ რომელიმე შენობა სეისმურად საშიშია და ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხეს წარმოადგენს, მისი დემონტაჟი დაუყოვნებლივ განხორციელდება.

**– რა ბედი ეწევათ დაუმთავრებელ შენობებს, რომელთა მეპატრონეები კარგა ხანია გაქცეული არიან და იძებნებიან?**

– თუ მეპატრონე ძებნაშია, მაშინ ამ შენობას სახელმწიფო განკარგავს და აუცილებლად გაიყიდება, ხოლო მოსახლეობას, ვისაც მის აგებაში წილობრივი მონაწილეობა აქვს მიღებული, ახალ კომპანიონთან ახალ ხელშეკრულებებს გააფორმებს ისე, რომ მისი უფლებები არ დაირღვეს. ასეთი წესით ყველა მშენებარე ობიექტი მალე დასრულდება და ხალხი ბინებით დაკმაყოფილდება.

**– ამბობენ, რომ თქვენი სამსახური ქალაქში არსებული ყველა სახის უკანონო მიშენებას დაანგრევს...**

– ასეთ მიშენება-დაშენებებს მხოლოდ ძველ თბილისში დავანგრევთ, სხვანაირად ისტორიული ძეგლების პირვანდელი სახე ვერ აღდგება, რაც შეეხება კორპუსზე მიშენებებს, თუ სეისმურად მდგრადია, ხელუხლებლად დარჩება. თუმცა, ახალი კანონმდებლობით მსგავსი მიშენება-დაშენება, თუნდაც მანსარდისა, კატეგორიულად იკრძალება. ამაზე აღარც პროექტები გაიცემა და, შესაბამისად, მსგავსი მშენებლობა უკანონოდ ჩაითვლება.

**– უთავბოლოდ მიმოფანტულ ავტოფარეხებზე რას გვეტყვით?**

– წლის ბოლომდე, მთელი თბილისის მასშტაბით, ყველა ავტოსადგომის დემონტაჟი მოხდება, გარდა რელიეფში შეჭრილი, მიწისქვეშა და კორპუსის ძირში, ეგრეთ წოდებულ ნულოვან სართულზე არსებულისა. ეს პროცესი ვაკე-საბურთალოს რაიონში უკვე დაიწყო, შემდეგ – მთაწმინდა-კრწანისში გაგრძელდება და გარეუბნებით დავამთავრებთ.

**– მიმდინარეობს მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების დემონტაჟიც, რა ბედი ეწევათ მათ მფლობელებს და იქ მოვაჭრეებს?**

– რაც შეეხება გარევაჭრობას, ამაზე მერიის იურიდიული სამსახური მუშაობს, მათი გადაწყვეტილების მიხედვით განისაზღვრება მეტროს ის მიმდებარე ადგილები, რომლებზეც ტენდერი გამოცხადდება და მიწები იჯარით გაიცემა. მეიჯარე კი თვითონ გასცემს ადგილს გარემოვაჭრეებზე. ვფიქრობთ, ეს საკითხი უკვე თებერვლის ბოლომდე გადაწყდება.

ხოლო მეპატრონეები, რომელთა შენობებიც ნგრევაში მოჰყვება, სხვა ადგილზე შესაბამისი მიწის ფართობით აუცილებლად დაკმაყოფილდებიან.

**თავის დროზე, მოდუნებულმა, კორუმპირებულმა კონტროლმა მშენებლობაში მიმდინარე ქაოსს ხელი შეუწყო და... შედეგიც სახეზეა, – ქალაქის დამახინჯებული იერსახე!**

**ვნახოთ, შეძლებს თუ არა ახალი კანონი და გამკაცრებული სანქციები არქიტექტურაზე ძალადობის შეჩერებას.**

**ამაზე პასუხს მალე თვით ქალაქის გარე იერ-სახე გაგვცემს.**

**ლელა მანაველიშვილი**

№ 9. ოთხშაბათი, 17 იანვარი, 2007 წელი.

◎ ყოფა

## ეჰ, ჰაერიღა დაგვრჩა უწყლო...

### წყალი გაძვირდა, კიდევ რას მოემატება ფასი ახლო მომავალში?



**წლევანდელი, 2007 წელი წყლის ტარიფის გადიდებით დაიწყო. ერთ თბილისელზე 15 იანვრიდან წყლის გადასახადი ასი პროცენტით გაიზარდა და 2 ლარი და 40 თეთრია, ხოლო მეწარმეებისათვის – ოთხი ლარი და 40 თეთრი.**

ყველამ კარგად ვიცით, რომ ქვეყნის აღორძინებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. ამ სახის საწარმოები საქართველოში არსებული აქტიური კომპანიების 95 პროცენტია, თუმცა მათი წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში ძალზე დაბალია (მხოლოდ 10 პროცენტი), მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებში 60 პროცენტია. ასეთ ვითარებაში განა გამართლებულია, რომ მეწარმეებს წყლის საფასური გავუორმაგოთ?

მოსახლეობის წყლით მომარაგების საქმეშიც დიდი ხარვეზებია. ათეული წლების წინათ აგებული წყალსაცავები და მომხმარებლამდე წყლის მიმყვანი მილსადენები ხშირად ზიანდება. ბევრ თბილისურ ოჯახს ჯერჯერობით ისევ არა აქვს სადღეღამისო წყალმომარაგება. ისინი, და, საერთოდ, ყველა თბილისელი, დიდად უკმაყოფილოა წყლის ტარიფის გაორმაგებით. აი, ზოგიერთი მათგანის მოსაზრება:

**ნათია გურგენიძე:** სამოთახიან ბინაში შვიდი სული ვცხოვრობთ, წყლის საფასურის გაზრდა ჩვენი ოჯახის ბიუჯეტზე ნამდვილად უარყოფითად იმოქმედებს. რომელ ერთს გავუმკლავდეთ, გაზის გადასახადს, შუქის გადასახადს თუ ახლა გაორმაგებული წყლის საფასურს? მაღალჩინოსან ჩინოვნიკებს არაფრად უღირთ წყალზე ფასის მომატება, რადგან მაღალი ხელფასები აქვთ, დაბალშემოსავლიანი ხალხისთვის ეს კიდევ ერთი დარტყმაა. რამდენს გავუძლოთ, აღარ ვიცი. ბაზარში შეხვალ და ერთი მოცუცქნული კონა ქინძი 30 თეთრი ღირს, ადრე ერთ პურს ვყიდულობდით ამ ფასად. როგორ გადავიხადოთ ეს გადასახადები, როცა ოჯახში ორი მოხუცებული მყავს, ქმარი არ მუშაობს, მხოლოდ ვაჟიშვილს შემოაქვს უმნიშვნელო თანხა, რომელიც გადასახადებს ძლივს ყოფნის? ჭამა აღარ გვინდა? რით ვიარსებოთ, არ ვიცი.

**გურამ ვარდოსანიძე:** 20-25 წლის წინათ დედაქალაქის მოსახლეობას წყალი მუდმივად მიეწოდებოდა. ასევე იშვიათობა იყო ტექნიკური წყლის შეწყვეტა. ბოლო წლებში კი სტაბილური გახდა წყალმომარაგების გრაფიკულ რეჟიმზე გადასვლა და თვით მიწოდების საათებში წყლის მიუწოდებლობა, ეს თავისთავად წყლით მომარაგების დღევანდელ უარყოფით მდგომარეობაზე მიუთითებს. ტექნიკურ წყალზე ხომ აღარ არის ლაპარაკი, იგი ძალზე იშვიათობა გახდა მთელი ქალაქის მასშტაბით. ვუყურებ და გული მტკივა, როცა ავტოსამრეცხაოებში მანქანებს სასმელი, სუფთა წყლით რეცხავენ, ბაღებსა და სკვერებსაც ამ წყლით რწყავენ.

**ნატა კუხიანიძე:** ნამდვილად არ მეგონა, წყლის ფასს ასე თუ გაზრდიდნენ, მალე, ალბათ, ჰაერზეც დააწესებენ გადასახადს. როგორ შევძლოთ გადახდა, ამაზე ნეტავ თუ ფიქრობენ? სახლში ვიყინებით, გაზის გამათბობელი ვერ გვიყიდია და ახლა წყლის გადასახადის გაზრდა გვინდოდა? ხომ უნდა შეგვიბრალოს ვინმემ! ისე მიჭყავთ საქმე, მირჩევნია ბინა გავყიდო და უცხოეთში გადავიხვეწო. სამშობლოში მონობას საზღვარგარეთ მონობა მირჩევნია, იქ ვინმეს მოახლედ დავუდგები და რაღაც საარსებო მინიმუმს მაინც გადამიხდიან. აბა, რა ვქნა, საშველს ვერ ვხედავ. ქმარი მეუბნება, სოფელში წავიდეთო. კი, ბატონო, წავალ, მაგრამ იქაც რა არის, ჩემს სოფელში მოსახლეობის მარჩენალი ჩაი იყო, ახლა იგი გავერანებულია, მიწის დამუშავებას ხელით როგორ შევძლებთ, ტრაქტორი სოფლად სანთლით საძებარი გახდა! ამიტომაც ვარ ქალაქში, თორემ სოფელში წასვლას ვინ მომასწრებდა, ახლა ვვაჭრობ, ქალაქის რომელ უბანში აღარ დავდივარ, მაგრამ მთელი შემოსავალი გადასახადებში მიდის. ნეტავი როდემდე გაგრძელდება ასე?

**ლალი ქინქლაძე**



◎ რა გველის ხვალ?

# გლობალიზაცია: მეცნიერებაზე დაფუძნებული ეკონომიკის პირმშო

№ 9. ოთხშაბათი, 17 იანვარი, 2007 წელი.

## 2. უთანასწორობის ზრდა

ბოლო პერიოდში გაიზარდა ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური განსხვავება. პირველი და მეორე სამრეწველო რევოლუციის დროს მუშახელი სოფლის მეურნეობას ტოვებდა და მოპოვებისა და წარმოების ცენტრებში ინაცვლებდა. პროფკავშირების არსებობა, რომლებსაც სახელმწიფო მხარს უჭერდა, ხელფასების უფრო თანაბრად განაწილებას უწყობდა ხელს. სოციალური კეთილდღეობის ამოცანა, შემოსავლების გათანაბრების მიზნით, გადასახადებისა და ხარჯების სისტემას იყენებდა.

**მეცნიერებაზე დაფუძნებულმა ეკონომიკამ თანასწორობის ეს საფუძვლები არსებითად შეცვალა**. მესამე სამრეწველო რევოლუციის შემდეგ სამუშაო ძალა მომპოვებელი და წარმოების მრეწველობის სფეროებიდან მომსახურების სფეროში ინაცვლებს. აღსანიშნავია, რომ მომსახურების სფეროში პროფესიული კავშირების შექმნა რთულია. **გლობალიზაციის პირობებში პროფესიული კავშირები თავიანთ ფუნქციებს კარგავენ, რადგან გლობალური კონკურენციის დროს ამ კავშირებს სამუშაო ადგილებისა და ხელფასების დაცვა არ ძალუძთ.** აშშ-ის პროფესიულ კავშირში გაერთიანებულია კერძო სექტორში დასაქმებული სამუშაო ძალის მხოლოდ 10 პროცენტი. საზოგადოებრივ სექტორში კი, სადაც გლობალური კონკურენცია არავითარ როლს არ ასრულებს, პროფესიული კავშირების როლი კვლავ დიდია და ეფექტიანად ფუნქციონირებს.

ზემოაღნიშნულის გამო, 1973 წლიდან აშშ-ში ხელფასებს შორის სხვაობა მკვეთრად გაიზარდა. სოციალური კეთილმოწყობის თანაბარუფლებიანობის პოლიტიკაც დაცვას საჭიროებს. შემოსავლების გათანაბრებისაკენ (გადასახადებისა და ხარჯების სისტემებით) მიმართული ფედერალური სამთავრობო ბიუჯეტის საქმიანობა მკვეთრად შეიკვეცა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OESD) ევროპას იმის გამო აკრიტიკებს, რომ ევროპა შრომის ბაზარს არასწორად აწესრიგებს და ხელფასებს შემცირების საშუალებას არ აძლევს. **ფირმებისთვის დადგენილი მაღალი საშემოსავლო გადასახადები, რაც აუცილებელია სოციალური უზრუნველყოფის დასაფინანსებლად, გლობალურად სიცოცხლისუნარიანი არ არის.** ამის გამო ევროპაში ფირმები აღარ ფართოვდება, რადგან მათი ხელფასები არ შეესაბამება დანარჩენ მსოფლიოში არსებულ ხელფასებს. ფირმები უბრალოდ გადაინაცვლებენ იმ ქვეყნებში, სადაც მაღალი საშემოსავლო გადასახადის გადახდა არ მოუწევთ. სოციალური კეთილდღეობის მაღალი დონე კი იმას ნიშნავს, რომ **სამუშაოს მაძიებლები დაბალანაზღაურებად სამუშაოს უმუშევრობას ამჯობინებენ. ევროპაში უმუშევრების დახმარება უფრო მაღალია, ვიდრე ხელფასები აშშ-ს მომსახურების სექტორში, რის შედეგადაც ევროპაში უმუშევრობა გაიზარდა.** ამის მიუხედავად, ევროპელებს თავიანთი ტრადიციული სოციალური უსაფრთხოების სისტემის გაუქმება მაინც არ სურთ *(ამ მსჯელობიდან ნათლად იკვეთება ავტორის სრულიად მიუკერძოებელი და აშკარად გლობალური ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარე პოზიცია — ყველაფერი ბუნებრივია, რაც გლობალურ ეკონომიკას ხელს უწყობს და მისგან გამომდინარეობს, და არაბუნებრივი,— რაც მას ხელს უშლის. —* **ა. გ.)**




სტატისტიკური მონაცემების თანახმად, **კაპიტალის შემოსავალი იზრდება, ხოლო შრომის შემოსავალი ეცემა. ეს გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გლობალურად შრომის მოცულობა მეტია, ვიდრე მდიდარ განვითარებულ სამყაროში არსებული კაპიტალის მოცულობა. ანალოგიურად, კვალიფიციური მუშაკების ხელფასები იზრდება, ხოლო არაკვალიფიციური შრომის ღირებულება კლებულობს, რადგან არაკვალიფიციური შრომის გლობალური მიწოდება მნიშვნელოვნად აჭარბებს კვალიფიციური შრომის მიწოდებას. ახალი ტექნოლოგიები კი სულ უფრო და უფრო მეტად კვალიფიციურ მუშახელს მოითხოვენ** *(წმინდა წყლის მარქსისტული მსჯელობაა, რაც ავტორის მიერ კარლ მარქსის მშვენივრად ცოდნაზე მიუთითებს. —* **ა. გ.)**

**ფინანსური კრიზისები ამ უთანასწორობას ამძაფრებს.** მათი გამომწვევი მიზეზი გლობალიზაცია არ არის. ისინი გლობალიზაციამდე გაცილებით ადრე არსებობდა. **მაკროსტაბილურობის შენარჩუნების თაობაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მკაცრი მოთხოვნა ქვეყნებში საშინაო უთანასწორობას ზრდის**. მრავალი წლის შემდეგაც კი მექსიკამ ვერ მოახერხა სოციალური თანასწორობის იმ დონის აღდგენა, რომელიც 1982 წლის კრიზისამდე არსებობდა. ადვილი მოსალოდნელია, იგივე განმეორდეს აღმოსავლეთ აზიაში, სადაც სოციალური უთანასწორობა კრიზისის შემდეგ გაიზარდა და ნაკლებად მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში კრიზისამდე არსებულ დონეს დაუბრუნდეს *(ზუსტად ყველაფერი იმგვარად, როგორც ეს სავალუტო ფონდის საქმიანობას მოჰყვა საქართველოში. —* **ა. გ.)**

**უთანაბრობა იზრდება როგორც ფირმებს, ისე ინდივიდებს შორის.** გლობალურ ეკონომიკაში ფირმები არჩევანის წინაშე დგანან: გლობალური ბაზრის ფართო სეგმენტზე იმოქმედონ თუ ბაზრის ვიწრო, სპეციალიზებული ნიში აირჩიონ სამოქმედოდ. **საშუალო ზომის ეროვნული ფირმა დასაღუპად არის განწირული.** ასე მაგალითად, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ავტომობილების მრეწველობაში კომპანიების კონსოლიდაცია დამთავრებულია, ხოლო კონკურენციულ ბრძოლაში გადარჩენას მხოლოდ ექვსი კომპანია შესძლებს. ოთხი მათგანი უკვე ცნობილია (VOLKSWAGEN, TOYOTA, FORD, GENERAL MOTORS), კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით MERSEDES-მა CRYSLER-ი იყიდა, RENAULT-მა კი NISSAN-ი. VOLVO, SAAB, ROLIS ROYCE, JAGUAR და ROVER ჯერჯერობით დამოუკიდებელი კომპანიები არიან. როგორ შესძლებენ FIAT, HYUNDAI და PEUGEOT გადარჩენას?

ქვეყნების ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, როგორიცაა ერთობლივი ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, 60-70-იან წლებში თითქმის გათანაბრდა, XX საუკუნის ბოლოს კი მნიშვნელოვნად დაშორდა ერთმანეთს. **ის ქვეყნები, რომლებიც გლობალურ მეცნიერებაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში არ მონაწილეობენ, მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან (მაგ. აფრიკის ქვეყნები). ის ქვეყნები კი, რომლებსაც შეუძლიათ გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობა, დინამიურად ვითარდებიან (მაგ. ჩინეთი).** აზიასა და სამხრეთ ამერიკაში სხვაობა ყველაზე უფრო წარმატებული და წარუმატებელ ქვეყნებს შორის ბოლო პერიოდში გაიზარდა. 90-იან წლებში დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით აშშ-ს შემოსავლებმა მკვეთრად იმატა.

გლობალიზაციითა და მეცნიერებაზე დაფუძნებული ეკონომიკით გამოწვეული უთანასწორობა ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არ არის. პრობლემები პოლიტიკური ხასიათისაა. დემოკრატია (ერთი კაცი — ერთი ხმა) ეკონომიკური თანასწორობის გარკვეულ ხარისხს გარდაუვლად გულისხმობს. ხმის მიმცემთა უმრავლესობამ ეკონომიკური სისტემიდან მოგება უნდა იგრძნოს. შედეგად, დემოკრატიის ნებისმიერი მოდელი სოციალური თანასწორობის გარკვეულ ასპექტებს მოიცავს. **იმის გამო, რომ საბაზრო ძალები სიმდიდრის უთანაბრო განაწილებას უწყობენ ხელს, ხოლო დემოკრატიული მთავრობები შემოსავლებისა და სიმდიდრის თანაბარ განაწილებას სულ უფრო ნაკლებად ახერხებენ, ბოლო პერიოდში პოლიტიკური ზემოქმედების ბერკეტების მოძებნა სულ უფრო ძნელი ხდება.** ამდენად ნაკლებად სარწმუნოა, რომ ეკონომიკური უთანასწორობის ზრდა დემოკრატიის ლიმიტირების გარეშე შესაძლებელია.

## 3. ამერიკული სისტემის ექსპორტი

გლობალიზაციას ხშირად ამერიკული პრაქტიკის ძალად თავზე მოხვევად მიიჩნევენ. ევროპელები ამას **„კოვბოურ კაპიტალიზმს“** უწოდებენ. მაგრამ ტრადიციული ამერიკული პრაქტიკა დანარჩენ მსოფლიოში არ ვრცელდება. **გლობალური, მეცნიერებაზე დაფუძნებული ეკონომიკის უდიდესი ნაწილის ფორმირება აშშ-ში მიმდინარეობს,** მაგრამ სიახლე ტრადიციული ამერიკული პრაქტიკის ასლი არ არის.

დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით, ამერიკელები უფრო ნათლად ხედავენ გლობალიზაციის იმ ტვირთს, რომლის ზიდვაც უწევთ. ყველანი, მათ შორის **ამერიკელებიც, მტკივნეულად ეგუებიან მეცნიერებაზე დაფუძნებულ ეკონომიკას**. აშშ-ის ფოლადის მრეწველობა ამის კარგი მაგალითია. 1998 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ აზიის ფოლადის ექსპორტის დიდი ნაკადი აშშ-ს მიაწყდა. ამის შედეგად კი ამერიკაში ფოლადის წარმოება 25 პროცენტით შემცირდა.

ამერიკისთვის სიახლეა მომგებიან ფირმებს შორის უზარმაზარი სამუშაო ძალის გადანაწილება. ასევე სიახლეა ოფშორულ საწარმოო ბაზებში სამუშაო ადგილების გადანაცვლება. ეკონომიკა პროფკავშირების გარეშე XX საუკუნის შუახანების ამერიკული ეკონომიკა არ არის. ხელფასებს შორის ასეთი დიდი უთანაბრობა არასოდეს ყოფილა. დღეს აშშ-ის საშუალო ოჯახის რეალური შემოსავალი, 1973 წელთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია.

**ტრადიციულად, კულტურა არის ის, რასაც მოხუცები ახალგაზრდებს ასწავლიან, თუ რა უნდა სწამდეთ და როგორ უნდა იმოქმედონ. საშიში ახალ ელექტრონულ კულტურაში ის არის, რომ ეს კულტურა საქონლის გაყიდვისკენაა მიმართული და ახალგაზრდებზეა გათვლილი. კულტურის ძველი ფორმების საწინააღმდეგოდ, ამ კულტურას არ აქვს რაიმე სპეციალური ღირებულებები, რომელთა დანგრევასაც ის ცდილობს. ისინი, ვინც ამ კულტურას ჰქმნიან, აწარმოებენ იმას, რასაც ახალგაზრდობა იყიდის. ეს უფრო მეტად მოგების კულტურაა, ვიდრე ზნეობის კულტურა. ამ აზრით იგი არსებითად სხვაა და ბევრს უშლის ხელს.**

სატელევიზიო ქსელი MTV ამ ახალი გლობალური კულტურის კარგი მაგალითია. სხვადასხვა ქვეყანაში სიმღერები და ენები, რომელზეც ეს სიმღერები სრულდება, განსხვავებულია, მაგრამ სიმღერების წარმოდგენის სტილი ერთი და იგივეა. MTV-ის სტილი, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ პირველად აშშ-ში გამოჩნდა. **სტილი ყველგან ერთნაირია, რადგან იგი ყველგან იყიდება. ელექტრონული კულტურა აშინებს როგორც ამერიკელებს, ისე სხვებსაც.**

ეკონომიკური თვალსაზრისით საინტერესო ის არის, თუ რატომ არიან უფრო მეტად ამერიკელები მიჩნეული **„გაყიდვის კულტურის“** შემქმნელად, ვიდრე ეს სინამდვილეშია. თამაშები, კინოფილმები, მუსიკა და სატელევიზიო პროგრამები აშშ-ის ექსპორტის დიდ ნაწილს შეადგენს. პასუხის ნაწილი შეიძლება ვიპოვოთ იმიგრაციულ საზოგადოებაში, რომელსაც არ აქვს იმის ნათელი კონცეფცია, თუ რა არის ამერიკული კულტურა. ახალი იმიგრაციული ჯგუფები ამერიკაში სახლდებიან და ისინი ამერიკულ კულტურას ცვლიან. ასეთი ცვლილებები სავსებით კანონზომიერია. უცხო სიტყვები ინგლისური ხდება და მათ წარმომავლობაზე არავინ წუხს.

ამ თვალსაზრისის საილუსტრაციოდ დავსძენთ, რომ ამერიკული კომპანიები თავიანთ საქმიანობაში ნიჭიერ უცხოელებს აქტიურად იზიდავენ. ეს ინდივიდები, მათი დაბადების ადგილისა და ეროვნული მემკვიდრეობის მიუხედავად, სწრაფად ეთვისებიან აშშ-ს და ამერიკული კულტურის ნაწილი ხდებიან.

ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით, აშშ-ში ბევრი ახალი ჯგუფი მიიწვიეს. აღსანიშნავია, რომ **უამრავი მათგანი მიდის „ელექტრონულად“ და არა ფიზიკურად.** ამ პროცესში ისინი ისევე ცვლიან ამერიკულ კულტურას, როგორც ისინი, ვინც ფიზიკურად მიდიოდა. ამრიგად, „ახალი ნარევი“ ალბათ, ისევ ამერიკულ კულტურად ჩაითვლება.

**მოამზადა და კომენტარები დაურთო**

**ამირან გაბისონიამ**

***P. S. ხაზგასმები პროფ. ლ. თუროუს სტატიაში ყველგან ჩემია — ა. გ.***

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 8.**

თავად მიხეილ ანდრონიკოვს არავითარი ოფიციალური თანამდებობა არ ეკავა, მაგრამ ერთ-ერთი გავლენიანი კაცი იყო იმპერიის დედაქალაქში



ისტორია

**მეოცე საუკუნე უდიდესი კატაკლიზმების ასწლეული იყო, რომელთა მსგავსიც არ ახსოვს ისტორიას.**

**ორი მსოფლიო ომი, სამყაროს გათიშვა სამკვდრო-სასიცოცხლოდ დატოლებულ სოციალურ-პოლიტიკურ ბანაკებად...**

**როცა 1918 წლის 17 ივლისის ღამეს ეკატერინბურგში მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცების დეპუტატთა ურალის საბჭომ ლენინის ბრძანებით დედაბუდიანად ამოჟლიტა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ოჯახი, ბოლო წერტილი დაესვა რომანოვების 304-წლიან დინასტიას.**

**ეს ორთავიანი არწივის გაჭიანურებული აგონიის დასასრული და ახალი, პირქუში, სისხლიანი წითელი იმპერიის დასაწყისი იყო.**

**მრავალი ჩვენი თანამემამულე მონაწილეობდა ამ ისტორიულ ქარტეხილში.**

**ზოგმა კომეტასავით გაიელვა და ნათელი კვალი დატოვა. ზოგი აღზევდა, რათა შემდეგ თავისი ხალხის ზიზღი და შეჩვენება მოემკო, ზოგიც დავიწყების ბურუსში შთაინთქა.**

**დღეს ერთ-ერთი მათგანის ცხოვრებას გაცნობთ.**

# თავადი ანდრონიკოვი: კაცი-გამოცანა

ამ კაცს მთელი ოფიციალური პეტერბურგი იცნობდა და, მაინც, მის შესახებ ბევრი რამ ბურუსით იყო მოცული.

მიხეილ მიხეილის ძე ანდრონიკოვი...

მამა – გალარიბებული ქართველი თავადი მიხეილ (მიმუშაძ აბელის ძე (1852-1882 წ.წ.ძ რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე, როტმისტრი. 1873 წელს დაქორწინდა ბარონესა სოფია აგნეს ევე ფონ უნგერნ-შტერზერგზე (1852-1884 წ.წ.ძ, კავალერიის გენერლის ბარონ ლეონჰარდ კარლოვიჩ ფონ უნგერნგ-შტენბერგის ასულზე. ჰყავდათ ორი ვაჟი: მიხეილი და ვლადიმერი.

ვლადიმერი (1877-1943 წ.წ.ძ – იმპერატრიცა ალექსანდრა ფეოდოროვნას ულანთა ლეიბ-გვარდიის პოლკის პოლკოვნიკი, მემუარისტის ცნობით, იყო „ძალზე წესიერი და ამხანაგების საყვარელი ოფიცერი“. დიდხანს ცხოვრობდა გერმანიაში, ჰქონდა კაპიტნის სამხედრო წოდება. დაქორწინებული იყო ბარონესა მარგარიტა მატილდა (დეიზიძ კარლოვნა ფონ ვრანგელზე.

მიხეილი დაიბადა 1875 წელს გერმანიაში. გაიზარდა ლაფლანდიის გუბერნიაში, დედის ნათესავის გრაფ ფიოდორ ბერგის მამულ „ზაგნიცაში“. პეტერბურგში ახალგაზრდობის წლებში ჩავიდა და „რუსი ხალხის კავშირს“ დაუახლოვდა.

1887 წელს შევიდა ვაჟთა კორპუსში, მაგრამ არ დაუმთავრებია – 1895 წელს უფროსი სპეციალური კურსიდან გაანთავისუფლეს ავადმყოფობის გამო.

გავლენიან ნაცნობთა უაღრესად ფართო წრე ჰყავდა. მისი მეგობრები იყვნენ იმპერატორის კარის მინისტრი, სახელმწიფო საბჭოს წევრი ვ. ფრედერიკსი, სასახლის კომენდანტი, გენერალი ვ. ვოეიკოვი, ობერჰოფმაისტერი, თავადი გიორგი შერვაშიძე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გორემიკინი, 1905 წელს მოკლული პეტერბურგის გრადონაჩალნიკი, გენერალი ვ. ფონ დე ლაუნიცი, სამხედრო მინისტრი, გენერალ-ადიუტანტი ვ. სუხომლინოვი, დიდი მედროვე და ავანტიურისტი გრიშკა რასპუტინი (ბოლოს ორივე მისი მოსისხლე მტერი გახდაძ და მინისტრთა უმრავლესობა. გაშინაურებული იყო დიდ მთავართა სასახლეებში, იცნობდა თითქმის ყველა დეპარტამენტის დირექტორს და სხვა მაღალი თანამდებობის მოხელეებს.

არავითარი მნიშვნელოვანი თანამდებობა არ ეკავა. 1897 წლიდან მიწერილი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროზე. საგანგებო დავალებათა მეექვსე კლასის მოხელე გახლდათ (1900 წელს კოლეჟსკი რეგისტრატორის ჩინი მიიღოძ. შემდეგ, 1914-1916 წლებში – საგანგებო დავალებათა მეხუთე კლასის მოხელე წმინდა სინოდის ობერ-პროკურორთან (საბოლოოდ მხოლოდ ტიტულიარნი სოვეტნიკობას მიაღწიაძ. ფაქტობრივად, არც სამინისტროში და არც სინოდში საქმე არაფერი ჰქონდა და არც არაფერი გაუკეთებია (თვითონვე აღიარებს, სამინისტროში 18 წელი ყოფნისას თითი თითზე არ დამიდიაოძ. ეგ იყო, წარმომდგენის სახელზე გაცემული უფასო სამგზავრო ბილეთებით სარგებლობდა.

1916 წლის მარტ-დეკემბერში გამოსცემდა ყოველკვირეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ „გოლოს რუსი“-ს (სულ 25 ნომერი გამოვიდაძ. ეს იყო და ეს.

როგორც ვთქვით, არავითარი ოფიციალური თანამდებობა არ ეკავა, მაგრამ ერთ-ერთი გავლენიანი კაცი იყო იმპერიის დედაქალაქში.

გამოჩენილი რუსი პოეტი ალექსანდრე ბლოკი წიგნში „იმპერატორის ხელისუფლების უკანასკნელი დღეები“ წერს, რომ რომანოვების ტახტის დამხობის წინ სანქტ-პეტერბურგში ყველაზე ცნობილი იყო „ტიბეტური მედიცინის სპეციალისტის“ ბადმაევის, თავად ანდრონიკოვისა და გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ თანამშრომლის მანასევიჩ-მანუილოვის წრეები. და ეს წრეები „იყო არენა, რომელზეც დიდი და პატარა წრეების გავლენათა ფართო სივრცეები იშლებოდა, აქედან მიფრინავდა წერილები, კარნახობდნენ ბრძანებებს, თამაშდებოდა ყოველგვარი „დიდი პოლიტიკა“. ა. ბლოკი მკითხველს შესავალშივე აფრთხილებს, ჩემი წიგნის მთელ საქმიან ნაწილს საფუძვლად ნამდვილად დოკუმენტური მასალა უდევსო. ისე რომ, მის მოწმობას უდავოდ უნდა ვენდოთ.

სანქტ-პეტერბურგის საისტორიო არქივის მ. ანდრონიკოვის პირად ფონდში დაცულია უამრავი წერილი (მათ შორის შეხვდებით ცნობილი რუსი და ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და თანამდებობის პირთა ბარათებსძ, რომელთა ავტორებიც დახმარებას სთხოვენ უმაღლეს სამთავრობო წრეებში, ამა თუ იმ საზოგადოებრივი ან პირადი საქმის მოგვარებაში.

არ ჰქონდა მუდმივი გარანტირებული შემოსავალი და მამულები (პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი სტეპან ბელეცკი აღნიშნავს, ეს „გალარიბებული ოჯახია კავკასიაშიო“), ერთობ ხელგაშლილი ცხოვრება კი უყვარდა. მასთან ყოველთვის ვიღაც სადილობდა, მის ბინაში ყოველთვის ვიღაც ცხოვრობდა („სტუმრებმა“ ერთხელ გაქურდეს კიდეც, რაც, კაცმა რომ თქვას, ცოტა როდი ჯდებოდა.

დროებითი მთავრობის საგანგებო საგამოძიებო კომისიაში (1917 წ.ძ დაკითხვისას განაცხადა, ძალზე მოკრძალებული კაცი ვარ, წელიწადში მხოლოდ 20 ათას მანეთს ვხარჯავ, რაიმე კაპიტალდაბანდება, გარკვეული წლიური შემოსავალი არა მაქვს, ვცხოვრობ იმით, რასაც ნათესავები მაძლევენ, ნაწილობრივ კი ბანკების კრედიტითო. როცა ჰკითხეს, რაიმე ფულად ჯილდოს თუ იღებდი იმ პირებისგან, ვისაც შუამდგომლობდი ხოლმეო, აღშფოთებულმა შეიცხადა, ამას პრინციპულად არ ვაკეთებდიო.

ფული ხან თავზე საყრელად ჰქონდა, ხან კაპიკი არ უჭყაოდა და ნაცნობ-მეგობრები უმართავდნენ ხელს. მაგრამ რაგინდ ჯიბეგახვრეტილი ყოფილიყო, მაინც თავადური გულუხვობით იცოდა მეეტლისა და ოფიციანტის დასაჩუქრება.

ყოველთვის დაკავებული იყო თავბრუდამხვევი კომერციული ოპერაციებით.



რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ II, იმპერატრიცა ალექსანდრა და უფლისწული ალექსი

ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ბუხარასა და ხივაში, სამდინარო არტერიების მეზობლად, მიწის დიდი ფართობების შესყიდვის წამოწყება აქციონერულ საწყისებზე, რაც ბუხარის ემირის კეთილგანწყობილებითა და სამხედრო მინისტრ ვ. სუხომლინოვის ხელშეწყობით მოახერხა.

ამ საქმეზე დიდ იმედებს ამყარებდა. ამასთან დაკავშირებით თავისი გეგმები წერილობით წარუდგინა იმპერატორსა და იმპერატრიცას, ნიკოლაი II-ის დედას, ქვრივ დედოფალს მარია ფიოდოროვნას. მრავალმილიონიანი წამოწყებააო, აცხადებდა. მოლაპარაკებას აწარმოებდა ბანკირებთან, მათგან კრედიტებს იღებდა. სააქციონერო საზოგადოების საწესდებო ფონდში თავისი წილი კაპიტალი არ შეუტანია, მაგრამ ყველაფრის ავან-ჩავანი მაინც თვითონ იყო. ამ საქმეში ჩემი შრომა შევიტანე, ბანკირებისთვის ისიც საკმარისი გარანტია იყო, რომ ამ წამოწყებაში მე ვმონაწილეობდი უშუალოდო, განუცხადა საგამოძიებო კომისიას.

სჯეროდა, რომ ხივასა და ბუხარაში სარწყავი წარმოება „დიდი, კარგი სახელმწიფო საქმე იყო“. და ასეც წარმართავდა საქმიანობას – მთელი იმპერიის ინტერესები თავის ამ „დიდ, კარგ სახელმწიფო საქმეს“ დაუქვემდებარა.

ადრე ანდრონიკოვი რაღაცას ჩალიჩობდა ჭიათურის მარგანეცთან დაკავშირებითაც. თვითონვე აქვს ნათქვამი: „მარგანეცის წარმოება კავკასიაში – ჭიათურაში, ჩემი ერთ-ერთი პირველი საქმე იყო, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ბევრი ხლაფორთი სჭირდებოდა“.

კომერციით იყო დაკავშირებული „ელექტრიჩესკოე ობშესტვო-1886“-თან. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გორემიკინთან და სხვებთან ვიზიტებისას ყოველთვის ამ საზოგადოების სასარგებლოდ ლაპარაკობდა, საქმიან ინტერესს იჩენდა ელექტროწარმოების მიმართ.

რაღაც ურთიერთობა ჰქონდა შვეიცარიის კაპიტალთანაც. არცთუ წარუმატებლად ცდილობდა შეეღწია სავაჭრო-სამრეწველო სფეროებშიც. საკმაოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთ-აზიის ბანკთან. 1917 წელს, დაპატიმრებისას, იქ „რამდენიმე ათასი მანეთი“ ჰქონდა ანაბრის სახით, თუმცა, ღმერთმა იცის, რამდენი იყო ეს „რამდენიმე ათასი“.

* * *

**მსუქანი, ქერა, სასიამოვნო შესახედაობის, ენაწყლიანი, დიდად განათლებული, რამდენიმე ევროპული ენის მცოდნე (განსაკუთრებით უყვარდა გერმანული ენაძ და არისტოკრატიული მანერების კაცი სხვადასხვა შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანებზე.**

ზოგი მავნე კაცად მიიჩნევდა, ზოგი – გაიძვერად, ბევრსაც მოსწონდა.

მეფესა და დედოფალს იგი არ უყვარდათ. სასახლეში იცოდნენ, რომ მირონცხებულ წყვილს მისგან შორს ეჭირა თავი. მაგრამ ცივი დამოკიდებულების მიუხედავად, იმპერატორი მაინც ანგარიშს უწევდა ანდრონიკოვს.

მას ჰქონდა საოცარი უნარი – შეეღწია ყველა მინისტრთან. ეს მისი ცხოვრების წესი იყო. სასახლის კარზე თავისი ინფორმატორების საშუალებით (ამ საქმეში მარჯვედ იყენებდა ახლო ნაცნობობას სასახლის კომენდანტთან, გენერალ ვლადიმერ ვოეიკოვთან, გრაფ ფრედერიკსსა და სასახლის კამერდინერთან, რომელიც უბრალო ლაქია კი არ იყო, მეფის კაბინეტთან მორიგის თანამდებობა ეკავაძ, ყოველთვის პირველი იგებდა ახალი დანიშვნის შესახებ და აღზევებულს პირველი მიულოცავდა ხოლმე ბარათით, მადლობა ღმერთს, რომ რუსეთს ეშველა, ბოლოს და ბოლოს, სამინისტროს (თუ დეპარტამენტს, რომლის ახალგამომცხვარი ხელმძღვანელიც იყო მისი ბარათის ადრესატიძ სათავეში ღირსეული პიროვნება ჩაუდგაო. თან საჩუქრად ხატს აახლებდა, რომელსაც ტრაფარეტულად 50-50 მანეთად ყიდულობდა ხოლმე, ოღონდ, ვითომ გაკვრით ჩაურთავდა, ეს ჩემი საგვარეულო ხატიაო (სხვათა შორის, ორი ხატი, ფრეილინა ვირუბოვას ხელით დედოფალსაც კი მიართვაძ. გულაჩუყებული და ნაამები ჩინოვნიკი მადლობის წერილით უპასუხებდა. შემდეგ ანდრონიკოვი „თავაზიანობის ვიზიტით“ ესტუმრებოდა კაბინეტში და ნაცნობობა გაჩარხული იყო.

უბრალოდ, ორგანულად ვერ იტანდა, ვინმე დიდ მოხელესთან პირადი ნაცნობობა რომ არ ჰქონოდა. თუ მინისტრი (სულ ერთია, რომელი უწყების ხელმძღვანელიძ ოფიციალური ვიზიტით ან დასასვენებლად სადმე მიემგზავრებოდა, აუცილებლად მივიდოდა ვაგზალზე გასაცილებლად, მის მეუღლეს თაიგულსა და კანფეტებს მიართმევდა. ზოგის გულს რაიმე პირადი სამსახურითაც ინადირებდა.

თუ რომელიმე მინისტრი მიღებაზე უარს იტყოდა, ამას ყოველთვის მტკივნეულად, ნერვიულად აღიქვამდა, რადგან უშუალოდ მათთან ვიზიტებს, ინტიმურ სატელეფონო საუბრებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს მისი სისუსტე კი არ იყო, არამედ ერთხელ და სამუდამოდ მოფიქრებული გეგმა, რომლის საშუალებითაც აღწევდა მიზანს: ყველაფერი სხვაზე ადრე შეეტყო, მაგალითად, ახალი დიდი მოხელის დანიშვნა და მასთან უმალ გაება ურთიერთობა.

ძალზე ბევრს დადიოდა და საქმიანი კაცის იერი რომ ჰქონოდა, მოუცილებლად ატარებდა პორტფელს. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი, ტაინი სოვეტნიკი ნიკოლაი პლევე ერთობ დაინტერესებული იყო ამ პორტფელით. ბოლოს ჩაიგდო კიდეც ხელში, მაგრამ მასში... გაზეთების მეტი არაფერი აღმოჩნდა.

სულ რაღაც ინტრიგაში იყო გახვეული. ზოგიერთები გერმანიის ჯაშუშად მიიჩნევდნენ. მის ბინაზე კონტრდაზვერვამ თვალთვალიც კი დააწესა.

იყო კი რაიმე საფუძველი საამისოდ?

**ალეკო ასლანიშვილი**

**(გაგრძელება იქნება).**

№ 9. ოთხშაბათი. 17 იანვარი. 2007 წელი.

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 328576



# ქალაქ თბილისის საკრებულოს

## გადაწყვეტილება № 4-27

29 დეკემბერი 2006 წელი
09.01.07 წ.
010.270.050.36.101.009.787

## ქ. თბილისში გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 9[1] მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დედაქალაქში გარე ვაჭრობად მიჩნეულ იქნეს ქალაქის ქუჩებზე, მოედნებსა და ტროტუარებზე, ასევე დასასვენებელ ადგილებში მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობა.

2. მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობისათვის დასაშვები საქონლის ნომენკლატურა განისაზღვრება ქ. თბილისის მთავრობის მიერ.

3. საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილებში ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილები მოეწყოს ისე, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ ქალაქის იერსახის მოთხოვნებს და არ შეაფერხონ ფეხით მოსიარულეთა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება. ვაჭრობა განხორციელდეს მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების, სხვა ნორმებისა და წესების დაცვით.

4. ქ. თბილისის მთავრობამ:

ა) განსაზღვროს გარე ვაჭრობის კონკრეტული ადგილები, ამ ადგილებით სარგებლობის ფორმები და ამისათვის განახორციელოს საჭირო ღონისძიებები;

ბ) შეიმუშაოს სადღესასწაულო და წინასადღესასწაულო დღეებში, ასევე სხვა ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისა და აქციების მოწყობისას გარე ვაჭრობის ორგანიზების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ქ. თბილისის ტერიტორიაზე მსუბუქი ტიპის არქიტექტურული ფორმების განთავსებისას საერთო სარგებლობაში არსებული საჯარო ნივთების გამოყენების წესის თაობაზე“ ქ. თბილისის საკრებულოს 2002 წლის 29 მაისის №6-3 გადაწყვეტილება;

ბ) „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის ნებართვის გაცემისა და მოსაკრებლის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2003 წლის 20 ივნისის №10-2 გადაწყვეტილება;

გ) „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის აკრძალვის ღონისძიებათა შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2004 წლის 30 იანვრის №2-6 გადაწყვეტილება;

დ) „ქ. თბილისში დროებითი სტაციონარების განლაგების რეგულირებისა და გარე ვაჭრობის მოსაკრებლის დაგეგმვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2004 წლის 18 მარტის №4-5 გადაწყვეტილება.

6. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ზ. ბეგაშვილი**

**საკრებულოს მდივანი** **თ. ქურხული**

# ქალაქ თბილისის საკრებულოს

## გადაწყვეტილება № 4-28

29 დეკემბერი 2006 წელი
09.01.07 წ.
010.270.000.36.101.009.786

## ძველი თბილისის რაიონის პერსპექტიული განვითარების საკითხთა შემსწავლელი ქ. თბილისის საკრებულოს დროებითი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად დამტკიცდეს ძველი თბილისის რაიონის პერსპექტიული განვითარების საკითხთა შემსწავლელი ქ. თბილისის საკრებულოს დროებითი კომისიის თანდართული დებულება.

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ზ. ბეგაშვილი**

**საკრებულოს მდივანი** **თ. ქურხული**

დამტკიცებულია
ქ. თბილისის საკრებულოს
2006 წლის 29 დეკემბრის
№4-28 გადაწყვეტილებით

## ძველი თბილისის რაიონის პერსპექტიული განვითარების საკითხთა შემსწავლელი ქ. თბილისის საკრებულოს დროებითი კომისიის დებულება

### თავი I
### ზოგადი დებულებები

**მუხლი 1.**

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებძ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტისა და ქ. თბილისის საკრებულოს რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულოში ძველი თბილისის რაიონის პერსპექტიული განვითარების საკითხთა შესწავლის მიზნით, სამი თვის ვადით, შექმნილია ძველი თბილისის რაიონის პერსპექტიული განვითარების საკითხთა შემსწავლელი დროებითი კომისია (შემდგომში – კომისიაძ.

2. კომისიის მუშაობის ვადის გაგრძელების საკითხს წყვეტს საკრებულო კომისიის თავმჯდომარის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

3. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს.

4. კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს ამ დებულებით, საკრებულოს რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

### თავი II
### კომისიის სტრუქტურა, კომპეტენცია და კომისიის წევრთა უფლებამოსილებანი

**მუხლი 2.**

1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება საკრებულოს არანაკლებ 3 წევრით.

2. კომისიის შემადგენლობას კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

3. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ საკრებულოს წევრი.

4. კომისიის თავმჯდომარის მიერ საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით კომისიაში სამუშაოდ დროებით ან კომისიის უფლებამოსილების ვადით შეიძლება მოწვეულ იქნენ სხვა პირებიც ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე.

**მუხლი 3.**

1. კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და/ან წარმოდგენილ პროექტებზე დასკვნის მომზადება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება:

აძ ძველი თბილისის რაიონში მდებარე ძველი უბნების რეაბილიტაციასა და განვითარებას;

ბძ ძველი თბილისის რაიონში არსებული ტურისტული და სხვა სახის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და გაუმჯობესებას;

გძ დედაქალაქის ისტორიული ზონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ეფექტიან დაცვას;

დძ ყველა სახის იმ პროგრამასა და პროექტს, რაც დაკავშირებულია ძველი თბილისის ისტორიული იერსახის აღდგენა-შენარჩუნებასთან;

2. კომისია:

აძ თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამყარებს ურთიერთობებს საქართველოს, უცხოეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო ორგანოებთან;

ბძ აქტიურად თანამშრომლობს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივ და უცხოურ საშუალებებთან და არასამთავრობო სექტორთან;

გძ განიხილავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებებს, საჩივრებს და ახდენს სათანადო რეაგირებას;

დძ ამზადებს რეკომენდაციებს, წინადადებებს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით და წარუდგენს საკრებულოს ან გზავნის დანიშნულებისამებრ;

ეძ ახორციელებს ამ დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ უფლებამოსილებებს.

**მუხლი 4.**

1. კომისიის წევრს უფლება აქვს:

იხ. 9 გვ.

№ 9. ოთხშაბათი, 17 იანვარი, 2007 წელი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576



ა) თანაბარ საწყისებზე მონაწილეობდეს კომისიის მუშაობაში, განსახილველ საკითხზე გამოთქვას შენიშვნები, მოსაზრებები და წარმოადგინოს წინადადებები;
ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს კომისიის თანამდებობებზე;
გ) ნებისმიერ დროს გავიდეს კომისიის შემადგენლობიდან.
2. კომისიის წევრი ვალდებულია:
ა) მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობაში;
ბ) არ გაახმაუროს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ან კონფიდენციალური ინფორმაცია;
გ) შეასრულოს კომისიის მიერ დაკისრებული მოვალეობები.

## თავი III
## კომისიის სხდომები

**მუხლი 5.**

1. კომისიის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს კომისია, მაგრამ არანაკლებ თვეში 1 სხდომისა. კომისიის მორიგი სხდომა მოიწვევა წინასწარ განსაზღვრულ დროს. კომისიის მორიგი სხდომის გამართვის დროს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
3. კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაესწრონ კომისიის სხდომას და მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში. ამ მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს რეგლამენტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.
4. გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
5. კომისიის სხდომა საჯაროა. განსაკუთრებულ შემთხვევაში კომისია იმართება კომისიის დახურული სხდომა. დახურული სხდომის გამართვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
6. კომისიის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება დაესწრონ საკრებულოს წევრები, ქ. თბილისის მთავრობის წევრები და მოწვეული სხვა პირები. კომისიის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ დაინტერესებული პირები, რომელთაც სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მიეცემა სიტყვით გამოსვლის უფლება. კომისიის სხდომაზე დასასწრებად ასევე შეიძლება მოწვეულ იქნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დადგენილი წესით აკრედიტებული წარმომადგენლები.

**მუხლი 6.**

1. კომისიის სხდომაზე განიხილება კომისიაში შემუშავებული და შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტები, მოქალაქეთა საჩივრები და განცხადებები, მთავრობის წევრთა და თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტებები, ასევე სხვა საკითხები.
2. კომისია იღებს რეკომენდაციას, დასკვნას, წინადადებას.
3. კომისიის დასკვნები, როგორც წესი, წარედგინება საკრებულოს სხდომას ან იგზავნება დანიშნულებისამებრ.
4. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდებობის პირები კომისიის მოთხოვნით ვალდებულნი არიან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საჭირო მასალები.
5. საკრებულოს მიერ არჩეული და დანიშნული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს კომისიამ.

**მუხლი 7.**

საკრებულოს თავმჯდომარის მოთხოვნით ან შესაბამისი კომისიების გადაწყვეტილებით შეიძლება გაიმართოს კომისიების ერთობლივი (საკონსულტაციო) სხდომა. ერთობლივ სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით კომისიები ცალ-ცალკე კენჭისყრით იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას.

## თავი IV
## კომისიის თანამდებობის პირები

**მუხლი 8.**

1. კომისიის თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო.
2. კომისიის თავმჯდომარე:
ა) იწვევს, ხსნის და წარმართავს კომისიის სხდომებს;
ბ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და ამ დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვას;
გ) ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, საკრებულოს რეგლამენტითა და ამ დებულებით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;
დ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;
ე) ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმებს;
ვ) მოქმედებს კომისიის სახელით;
ზ) ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე;
თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
3. კომისიის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.
4. კომისია თავის წევრთაგან, უფლებამოსილების ვადით, ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს (მოადგილეებს).
5. კომისიის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის წევრს.
6. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (მოადგილეები):
ა) ასრულებს კომისიის ცალკეულ დავალებებს;
ბ) კომისიის (სიითი შემადგენლობის უმრავლესობის) დავალებით ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობებს მისი გადადგომის, გადაყენების ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში.

**მუხლი 9.**

1. კომისის თავმჯდომარე საკრებულომ შეიძლება გადააყენოს თანამდებობიდან. კომისიის თავმჯდომარის გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე წერილობით შეიძლება დასვას საკრებულოს თავმჯდომარემ, ბიურომ, საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა, შესაბამისი კომისიის შემადგენლობის ორმა მესამედმა.
2. კომისიის თავმჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მისი გადაყენების შესახებ მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
3. კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია ნებისმიერ დროს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განაცხადოს თავისი გადადგომის შესახებ. შესაბამისი განცხადება წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც მას გააცნობს საკრებულოს. კომისიის თავმჯდომარე გადამდგარად ითვლება საკრებულოს თავმჯდომარისათვის განცხადების წარდგენის დღიდან.
4. კომისიის თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების ან მისი, როგორც საკრებულოს წევრის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საკრებულო უახლოეს სხდომაზე რეგლამენტით გათვალისწინებული წესით ირჩევს კომისიის ახალ თავმჯდომარეს.

## თავი V
## დასკვნითი დებულებები

**მუხლი 10.**

კომისიის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

---

# ქალაქ თბილისის საკრებულოს
# გადაწყვეტილება № 4-29

29 დეკემბერი 2006 წელი
09.01.07 წ.
010.310.010.36.101.009.785

## ქ. თბილისის საკრებულოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ჰ" ქვეპუნქტის თანახმად დამტკიცდეს:
ა) ქ. თბილისის საკრებულოს აპარატში სტაჟირების გავლის წესი (დანართი 1).
ბ) სტაჟირებაზე განაცხადის ფორმა (დანართი 2);
გ) სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობის ნიმუში (დანართი 3);
დ) სტაჟირების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ნიმუში (დანართი 4).

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ბეგაშვილი**

**საკრებულოს მდივანი თ. ქურხული**

დანართი 1
დამტკიცებულია
ქ. თბილისის საკრებულოს
2006 წლის 29 დეკემბრის
№4-29 გადაწყვეტილებით

## ქ. თბილისის საკრებულოს აპარატში სტაჟირების გავლის წესი

## თავი I
## ზოგადი დებულებები

**მუხლი 1.**

ეს წესი განსაზღვრავს ქ. თბილისის საკრებულოს აპარატში სტაჟირების გავლის პირობებს.

იხ. 10 გვ.

№ 9. ოთხშაბათი, 17 იანვარი, 2007 წელი.

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 328576



№ 9. ოთხშაბათი, 17 იანვარი, 2007 წელი.

**მუხლი 2.**
მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის მიზნით საკრებულო უქმნის ახალგაზრდა სპეციალისტებს დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისათვის საჭირო პირობებს.

**მუხლი 3.**
ა) სტაჟირება – საკრებულოს აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ამ წესით რეგულირებადი, აუნაზღაურებელი საქმიანობა;
ბ) სტაჟიორი – პირი, რომელიც ამ წესის საფუძველზე გადის სტაჟირებას საკრებულოს აპარატში;
გ) სტაჟიორობის კანდიდატი (შემდგომში – კანდიდატი) – პირი, რომელსაც ამ წესის შესაბამისად საკრებულოში შეაქვს განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ.

## თავი II
## სტაჟიორის სტატუსი

**მუხლი 4.**
სტაჟიორად შეიძლება დანიშნულ იქნეს საშუალო ან)და უმაღლესი განათლების მქონე პირი.

**მუხლი 5.**
კანდიდატი გადის გასაუბრებას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან ან შესაბამისი კომისიის თავმჯდომარესთან. გადაწყვეტილებას კანდიდატის სტაჟიორად დანიშვნის შესახებ იღებს საკრებულოს აპარატის უფროსი (შემდგომში – აპარატის უფროსი) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან ან კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

**მუხლი 6.**
კანდიდატმა საკრებულოს აპარატის კადრების განყოფილებას (შემდგომში – კადრების განყოფილებას) უნდა წარუდგინოს სტაჟირებაზე განაცხადის შევსებული ფორმა (დანართი 2).

**მუხლი 7.**
1. სტაჟირების ვადა განისაზღვრება 6 თვით.
2. სტაჟირების გავლის შემდეგ სტაჟიორს ეძლევა სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა (დანართი 3), ხოლო სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში – სტაჟირების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი (დანართი 4).

**მუხლი 8.**
საჭიროების მიხედვით სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი აპარატის უფროსს წარუდგენს მოთხოვნას სტაჟიორთა რაოდენობის თაობაზე შტატით გათვალისწინებულ მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის ფარგლებში.

## თავი III
## სტაჟიორის უფლებები

**მუხლი 9.**
სტაჟიორს უფლება აქვს:
ა) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანხმობით გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას (საარქივო მასალებს), ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით (ბიბლიოთეკით, ელექტრონული საშუალებებით და სხვ.), თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
ბ) უშუალო ხელმძღვანელის თანხმობით დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;
გ) გაეცნოს სტრუქტურული ერთეულის მუშაობის სპეციფიკას, მონაწილეობა მიიღოს საკითხების მომზადებასა და სათანადო დოკუმენტების შედგენას, რომელიც მოცემულ სფეროს მიეკუთვნება.

## თავი IV
## სტაჟიორის მოვალეობები

**მუხლი 10.**
სტაჟიორი ვალდებულია:
ა) იხელმძღვანელოს კანონმდებლობით, რომელიც აწესრიგებს საკრებულოს საქმიანობას;
ბ) დადგენილ ვადაში შეასრულოს ყველა ის დავალება, რომელიც მას დაეკისრება საკრებულოს იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ, სადაც იგი გადის სტაჟირებას;
გ) მუდმივი კონტაქტი იქონიოს საკრებულოს სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეებთან;
დ) უშუალო ხელმძღვანელის დავალების შემთხვევაში სტაჟირების პერიოდში აწარმოოს პირადი მოსწრების დღიური და მასში ასახოს შესრულებული სამუშაოები თემატიკის მითითებით. პირადი მოსწრების დღიური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სტაჟირების ვადის გასვლის მომენტისათვის წარუდგინოს უშუალო ხელმძღვანელს;
ე) დაიცვას საკრებულოს შინაგანაწესი.

## თავი V
## საკრებულოს მოვალეობები

**მუხლი 11.**
საკრებულო სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

**მუხლი 12.**
საკრებულოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ამოწმებს სტაჟიორის მიერ პირადი მოსწრების დღიურის წარმოებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პერიოდულად აცნობს სტაჟიორს თემატიკას, აძლევს დავალებებს, აკონტროლებს მათ შესრულებას და განუსაზღვრავს შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტულ ვადას.

## თავი VI
## სტაჟირების გავლის სხვა პირობები

**მუხლი 13.**
1. სტაჟირების შეწყვეტის საფუძველია:
ა) სტაჟირების პერიოდში არასაპატიო მიზეზით 5 დღის განმავლობაში შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში გამოუცხადებლობა;
ბ) დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;
გ) პირადი განცხადება;
დ) საკრებულოს სტრუქტურულ ქვედანაყოფში თანამდებობაზე დანიშვნა.
2. სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აპარატის უფროსი საკრებულოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით.

**მუხლი 14.**
1. სტაჟირების პროცედურის საერთო კოორდინაციას ახორციელებს კადრების განყოფილება, რომელიც იბარებს კანდიდატთა საბუთებს და უზრუნველყოფს ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას.
2. კადრების განყოფილება ვალდებულია სტაჟირების საკითხებზე 6 თვეში ერთხელ მიაწოდოს ინფორმაცია აპარატის უფროსს.

## თავი VII
## გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

**მუხლი 15.**
ამ წესის ძალადაკარგულად ცნობა, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საკრებულოს გადაწყვეტილებით.

<u>დანართი 2</u>

დამტკიცებულია
ქ. თბილისის საკრებულოს
2006 წლის 29 დეკემბრის
№ 4-29 გადაწყვეტილებით

### სტაჟირებაზე განაცხადის ფორმა

1. გვარი, სახელი ----------------------------------------
2. დაბადების ადგილი, თარიღი ----------------------------------------
3. მოქალაქეობა ----------------------------------------
4. პირადობის მოწმობის ნომერი ----------------------------------------
5. ოჯახური მდგომარეობა ----------------------------------------
6. საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი: ----------------------------------------
----------------------------------------
7. განათლება (როდის - რომელი სასწავლებელი დაამთავრეთ) ----------------------------------------
----------------------------------------
----------------------------------------
----------------------------------------
----------------------------------------
8. ამჟამად სწავლობთ თუ არა და სად? ----------------------------------------
----------------------------------------
9. სპეციალობა, კვალიფიკაცია (დიპლომის მიხედვით) და დიპლომის ნომერი (დიპლომის არსებობის შემთხვევაში) ----------------------------------------
----------------------------------------
----------------------------------------

იხ. 11 გვ.

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 328576



10. რომელ უცხო ენებს ფლობთ?

__________________________________________

__________________________________________

__________________________________________

11. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: ______________________

__________________________________________

12. საკრებულოს რომელ სტრუქტურულ ქვედანაყოფში გსურთ სტაჟირების გავლა. მიუთითეთ სამი სტრუქტურულ ქვედანაყოფი პრიორიტეტების მიხედვით.

__________________________________________

__________________________________________

__________________________________________

__________________________________________

__________________________________________

__________________________________________

13. გთხოვთ ცალკე წარმოადგინოთ შემდეგი საბუთები:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ბ) CV;

გ) ფოტოსურათი;

დ) დიპლომის ასლი ან ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან (არსებობის შემთხვევაში);

<u>დანართი 3</u>

დამტკიცებულია
ქ. თბილისის საკრებულოს
2006 წლის 29 დეკემბრის
№4-29 გადაწყვეტილებით

**სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა**

მოწმობა გადაეცემა

______________________________

ქალაქ თბილისის საკრებულოს

______________________________

სტაჟირების გავლისათვის.

ქალაქ თბილისის საკრებულოს
აპარატის უფროსი

<u>დანართი 4</u>

დამტკიცებულია
ქ. თბილისის საკრებულოს
2006 წლის 29 დეკემბრის
№4-29 გადაწყვეტილებით

**სტაჟირების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი**

სერთიფიკატი გადაეცემა

______________________________

ქალაქ თბილისის საკრებულოს

______________________________

სტაჟირების წარმატებით გავლისათვის.

ქალაქ თბილისის საკრებულოს
აპარატის უფროსი

# ქალაქ თბილისის საკრებულოს

## გადაწყვეტილება № 4-30

29 დეკემბერი 2006 წელი
09.01.07 წ.
200.010.000.36.101.009.784

## „ქ. თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 24 ივნისის №14-5 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლისა და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად „ქ. თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 24 ივნისის №14-5 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აძ საქართველოს საწარმოსათვის – მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების, დაუმონტაჟებებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და არამატერიალური აქტივების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1 პროცენტს.

ამასთან, საქალაქო ელექტროტრანსპორტისათვის გადასახადის წლიური განაკვეთი შეადგენს მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და არამატერიალური აქტივების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 0,2 პროცენტს, 2008 წლის 1 იანვრამდე“.

2. გადაწყვეტილება ძალაშია 2007 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ბეგაშვილი
საკრებულოს მდივანი თ. ქურხული

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 328576



№ 9. ოთხშაბათი, 17 იანვარი, 2007 წელი.

# ქალაქ თბილისის საკრებულოს

## გადაწყვეტილება № 4-31

29 დეკემბერი 2006 წელი
09.01.07 წ.
040.170.290.36.101.009.783

## „ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 23 დეკემბრის №24-5 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

**1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა, რომ „ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 23 დეკემბრის №24-5 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ალნიშნული წესის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2.

1. განაცხადი (პროექტი) მიიღება ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვამდე.

2. განაცხადი (პროექტი) უნდა შეიცავდეს შემდეგ სავალდებულო მონაცემებს:

ა) თავფურცელს, რომელშიც ასახული იქნება ინფორმაცია განმცხადებელი ამხანაგობის შესახებ;

ბ) პრობლემის არსს, რომელიც უნდა შეიცავდეს იმ კონკრეტული პრობლემების მიმოხილვას, რომლის გადაჭრისკენაც არის მიმართული ამხანაგობის განაცხადი;

გ) პრობლემის გადაჭრის გზებს, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ ამოცანებს და ხედვას, რა ფორმითა და საშუალებებით უნდა გადაიჭრას არსებული პრობლემები;

დ) სამუშაოების შესრულების ვადას;

ე) ბიუჯეტს, რომელშიც უნდა იქნეს განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოებისათვის საჭირო თანხები და უნდა ეფუძნებოდეს მომსახურე ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ხარჯთაღრიცხვას;

ვ) მომსახურე კომპანიის მონაცემებს (სრულ რეკვიზიტებს), რომელიც შეასრულებს განაცხადით (პროექტით) გათვალისწინებულ სამუშაოებს;

ზ) ამხანაგობის წევრთა სახელსა და გვარს, ხელმოწერებს (სულ ცოტა ნახევარზე მეტის), პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი საბუთის მონაცემებს, ტელეფონის ნომრებს.

3. ბიუჯეტი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ამხანაგობის თანამონაწილეობის წილს განაცხადში (პროექტში) შემდეგი პროცენტული ოდენობით:

ა) შენობის სახურავის შეკეთების შემთხვევაში – 25%;

ბ) ლიფტის შეკეთების შემთხვევაში – 30%;

გ) შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეკეთების შემთხვევაში – 30%;

დ) სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთების შემთხვევაში – 50%;

ე) სადარბაზოს კარებების შეკეთების შემთხვევაში – 50%;

ვ) ამხანაგობების კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირება (წითელ ხაზებში მოქცევა) –50%.

4. განაცხადს (პროექტს) თან უნდა ერთვოდეს:

ა) სამსახურის მიერ გაცემული ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის ფურცელი;

ბ) მომსახურე ორგანიზაციის მიერ მომზადებული დეფექტური აქტისა და ხარჯთაღრიცხვის ქსეროასლი.“

**ბ)** მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამსახურის მიერ გადასარიცხ თანხას ამხანაგობა მიიღებს სამუშაოების დასრულების შემდეგ.“

**გ)** მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. თუ მომსახურე ფიზიკური ან იურიდიული პირი დაარღვევს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს (სამუშაოს დასრულების ვადა, გარანტია და სხვ.) სამსახურს უფლება ეძლევა შემდგომში არ დააფინანსოს ამხანაგობის ის განაცხადი, რომელსაც საფუძვლად ედება ზემოაღნიშნული მომსახურე პირის მიერ შედგენილი დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა.“

**2.** გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ზ. ბეგაშვილი**

**საკრებულოს მდივანი** **თ. ქურხული**

# ქალაქ თბილისის საკრებულოს

## გადაწყვეტილება № 4-32

29 დეკემბერი 2006 წელი
10.01.07 წ.
240.120.100.36.101.009.799

## გარე რეკლამის გავრცელების რეგულირების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 9[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, აგრეთვე „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლისა და 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

**მუხლი 1.**

ქ. თბილისში, სახელმწიფო ან ადგილობრივი საკუთრების მიწაზე, ასევე ადგილობრივ საკუთრებაში არსებულ სხვა ობიექტებზე გარე რეკლამის განთავსება განხორციელდეს ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების საფუძველზე ქალაქ თბილისის მერიასთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების გზით.

**მუხლი 2.**

1. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს:

ა) ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ (შემდგომში - პირიძ გარე რეკლამის განთავსებისათვის გადასახდელი თანხის ოდენობას, გადახდის ვადასა და წესს;

ბ) ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

გ) კონკრეტული ურთიერთობებიდან გამომდინარე დადგენილ სხვა პირობებს;

დძ ხელშეკრულების მოშლის პირობებსა და მხარეთა შესაბამის ვალდებულებებს;

ე) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მონაცემებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით გაფორმებული ხელშეკრულება არ განაპირობებს მიწის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის შეცვლას და არ ანიჭებს პირს გარე რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა გარდა სხვა ქმედებათა განხორციელების უფლებამოსილებას.

**მუხლი 3.**

1. პირის მიერ ახალი სარეკლამო საშუალების განთავსებისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა განისაზღვრება ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 20 ნოემბრის №2-17 გადაწყვეტილებით.

2. ამ გადაწყვეტილების ამოქმედების მომენტისათვის ქ. თბილისის ტერიტორიაზე განთავსებული გარე სარეკლამო საშუალებების მესაკუთრეების მიერ ქ. თბილისის მერიისათვის გადასახდელი საზღაურის ოდენობად განისაზღვროს კონკრეტულ ადგილებზე რეკლამის განთავსებიდან მიღებული შემოსავლების 15%.

3. იმ შემთხვევაში თუ სარეკლამო საშუალება ცარიელია ან მასზე განთავსებულია რეკლამის გამავრცელებლის რეკლამა ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რეკლამის გამავრცელებელმა ქ. თბილისის ბიუჯეტში უნდა გადაიხადოს კონკრეტულ ადგილზე რეკლამის განთავსების თაობაზე ბოლო ხელშეკრულებით მიღებული შემოსავლების 15%.

**მუხლი 4.**

1. ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადაა 4 წელი.

2. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდა მისი გაგრძელება, ქ. თბილისის მერიის მოთხოვნის საფუძველზე, პირი ვალდებულია საკუთარი სახსრებით განახორციელოს გარე რეკლამის დემონტაჟი თუ ხელშეკრულებით ან პირისა და ქ. თბილისის მერიის შემდგომი ურთიერთშეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 5.**

პირები, რომლებსაც ამ გადაწყვეტილების ამოქმედების მომენტისათვის განთავსებული აქვთ გარე რეკლამა, ვალდებულნი არიან ქ. თბილისის მერიასთან გააფორმონ ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შესაბამისი ხელშეკრულება 2 თვის ვადაში გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან.

**მუხლი 6.**

1. პირებს, რომელთა საკუთრებაში არსებული სარეკლამო საშუალებები განთავსებულია ამ გადაწყვეტილების პირველ მუხლში მითითებულ ობიექტებზე და რომელთაც ამავე გადაწყვეტილების მე-5 მუხლში მითითებული ვადის გასვლის შემდგომ არ ექნებათ ქალაქ თბილისის მერიასთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაეკისრებათ სარეკლამო საშუალების საკუთარი სახსრებით დემონტაჟის ვალდებულება.

იხ. 13 გვ.

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში" 899 328576





2. ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ხელშეკრულების პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში (გარე რეკლამის საზღაურის გადაუხდელობა და სხვ.ძ, სარეკლამო საშუალების მესაკუთრეს დაეკისრება სარეკლამო საშუალების საკუთარი სახსრებით დემონტაჟის ვალდებულება.

**მუხლი 7.**

1. ქალაქ თბილისის მთავრობამ შეისწავლოს ქალაქ თბილისში გარე რეკლამის განთავსების პოტენციალი და შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, ახალი სარეკლამო საშუალებების (არსებული სარეკლამო საშუალებების გარდაძ განთავსების უფლების მინიჭება მოახდინოს კონკურსის ან აუქციონის საშუალებით, გამარჯვებულთან ამ გადაწყვეტილებაში მითითებული ხელშეკრულების გაფორმებით.

2. ქალაქ თბილისის მთავრობამ უზრუნველყოს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კონკურსის ან აუქციონის პირობების შემუშავება და დამტკიცება.

**მუხლი 8.**

ქ. თბილისის მერიამ უზრუნველყოს:

აძ ხელშეკრულების ფორმის დამტკიცება;

ბძ ხელშეკრულების ხელმოწერისათვის უფლებამოსილი პირის განსაზღვრა;

ბძ ქ. თბილისის მერიის შესაბამისი ორგანოს განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს განცხადებების განხილვას, ქ. თბილისის მთავრობისათვის წარდგენას, ხელშეკრულების გაფორმებასა და მისი შესრულების კონტროლს.

**მუხლი 9.**

ამ გადაწყვეტილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

აძ „ქ. თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობისძ ორგანოების განკარგვაში არსებული უძრავი ნივთების (ადგილობრივი საკუთრებისძ გამოყენებით გარე რეკლამის (სარეკლამო საშუალებისძ განთავსების წესის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2002 წლის 8 მაისის №5-2 გადწყვეტილება;

ბძ „ქ. თბილისის ტერიტორიაზე მოქმედი რეკლამის გადასახადის განაკვეთში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 20 დეკემბრის №15-3 გადაწყვეტილება;

გძ „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის გავრცელების გეგმის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2002 წლის 29 მაისის №6-1 გადაწყვეტილება;

დძ „გარე რეკლამის გავრცელების ნებართვისათვის მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 1999 წლის 16 ივნისის №17-2 გადაწყვეტილება.

**მუხლი 10.**

გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ბეგაშვილი**

**საკრებულოს მდივანი თ. ქურხული**

# მცხეთის რაიონული სასამართლოს განცხადება

მცხეთის რაიონული სასამართლო აცხადება, რომ მის წარმოებაშია მცხეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სასარჩელო განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე, რომელიც შეეხება მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს ტერიტორიაზე განთავსებულ სოფელ საგურამოს მაგისტრალური გაზსადენის დასახლების 50 მმ-იანი დიამეტრის 250 გრძივი მეტრი გაზმომარაგების ქსელის უპატრონო ქონებაზე ცნობას.

მოსარჩელის განმარტებით ქონება არ იმყოფება საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის, ს/ს „საქტრანსგაზმრეწვი"-ს და ს/ს „მცხეთაგაზი"-ს ბალანსზე. ს/ს „საქგაზ"-ს და მას დაეუფლა ჭოპორტის საკრებულო.

ასევე მოსარჩელის განმარტებით აღნიშნული ობიექტი თავის დროზე დაპროექტდა საქართველოს „გაზსახკომის"-ს 23.06.86წ. **№KC-12/1866** წერილის საფუძველზე. იგი აშენდა „საქტრანსგაზმრეწვი"-ს ძალებით.

აღნიშნულის გამო, მცხეთის რაიონული სასამართლო მიმართავს ყველა იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია ქონებაზე, რომლის უპატრონოდ ცნობასაც ითხოვს მოსარჩელე მცხეთის ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო, რათა მათ განაცხადონ მცხეთის რაიონულ სასამართლოში (ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17ძ თავიანთი უფლებების შესახებ სამი თვის ვადაში დღიდან პუბლიკაციისა.

# მცხეთის რაიონული სასამართლოს განცხადება

მცხეთის რაიონული სასამართლო აცხადებს, რომ მის წარმოებაშია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მცხეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს (უფროსი მ. ჩხეიძე) განცხადება უპატრონო ქონების სახელმწიფო საკუთრებად აღიარების თაობაზე, რომელიც შეეხება მცხეთის რაიონის სოფელ გალავნის საკრებულოს ტერიტორიაზე მდ. თემზის ხეობაში 1985 წლიდან მიწის ქვეშ განლაგებულ უმოქმედო კანალიზაციის 300 მმ დიამეტრის 7 კმ. სიგრძის რკინის მილს და 7 კმ. სიგრძის და 400 მმ დიამეტრის ასბესტის მილს, რომელიც განსაზღვრული იყო ცხვარიჭამიის ყოფილი პიონერთა ბანაკის კანალიზაციის მოსაწყობად, როგორც უპატრონო ქონება აღიარებული იქნეს სახელმწიფო საკუთრებად.

განმცხადებლის განმარტებით ქონება არ ერიცხებოდა არც მცხეთის რაიონის გამგეობას, არც სოფელ გალავნის საკრებულოს და აღნიშნული ქონება არის უპატრონო.

აღნიშნულის გამო, მცხეთის რაიონული სასამართლო მიმართავს ყველა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია ქონებაზე, რომლის უპატრონო ქონების სახელმწიფო საკუთრებად აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი — საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მცხეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო, რათა მათ განაცხადონ მცხეთის რაიონულ სასამართლოში (ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17ძ თავიანთი უფლებების შესახებ სამი თვის ვადაში დღიდან პუბლიკაციისა.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# გაერო საქართველოს და აფხაზეთს უთანხმოების დაძლევისთვის მოუწოდებს

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა ორშაბათს გაეროს უშიშროების საბჭოს წარუდგინა მოხსენება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შექმნილი სიტუაციის შესახებ, იტყობინება გაეროს მეთაურის პრეს-მდივანი მიშელ მონტასი.**

„გენერალურმა მდივანმა გამოთქვა სერიოზული შეშფოთება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ამ ბოლო ხანს მომხდარი ინციდენტების გამო, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ იქ არ აღმოფხვრილა ძალადობის ესკალაციის საფრთხე", — თქვა მონტასმა.

როგორც ცნობილია, იანვარში თავს დაესხნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეთვალყურეო პუნქტს, რის შედეგადაც მოკლეს ერთი პოლიციელი და კიდევ ერთიც — დაჭრეს. მანამდე კი, 25 და 26 დეკემბერს, გალის რაიონში, თავდასხმათა შედეგად მოკლეს თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის მილიციის სამი თანამშრომელი.



„მე ვგმობ ძალადობის ამ აქტებს და მოვუწოდებ მხარეებს იმუშაონ ერთობლივად, რათა გამოავლინონ და მართლმსაჯულებას გადასცენ ყველა ის პირი, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა. მოვუწოდებ ორივე მხარეს დაიწყონ დიალოგი ადგილებზე ძალადობის ესკალაციის აღსაკვეთად და კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ საქართველოში გაეროს მისია მზად არის შეუწყოს ხელი ამ პროცესს", — ხაზგასმულია მოხსენებაში.

„ორივე მხარე დიდ ყურადღებას უთმობს იმას, რომ შეიპირონ უფრო აქტიური გარეშე დახმარება, თუმცა, ისინი არ ცდილობენ მიაღწიონ პოლიტიკური მიზნების განხორციელებას ორმხრივი დათმობის საფუძველზე", — მიაჩნია პან კი მუნს.

საქართველოს შესახებ გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებას განიხილავენ უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელიც 24 იანვარს უნდა გაიმართოს იმ რეზოლუციათა შესრულების განხილვასთან დაკავშირებით, რომლებიც მიიღებულია გასული წლის ოქტომბერში რუსეთის ინიციატივით.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ, გაეროში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა იანვარში განაცხადა, რომ რუსეთი მთლიანად არ არის კმაყოფილი იმით, როგორც ასრულებს თბილისი რეზოლუციით ნაკისრ ვალდებულებებს.

НОВОСТИ

# ინგილოები საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტს სასამართლოში უჩივიან

**აზერბაიჯანის მოსაზღვრე საქართველოს ლაგოდეხის რაიონის სოფელ სამთაწყაროს მცხოვრებლებმა 15 იანვარს აღძრეს სარჩელი დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოში ქვეყნის სასაზღვრო უწყების წინააღმდეგ, რომელმაც გადაკეტა მოძრაობა აზერბაიჯანის სოფლებთან სამთაწყაროს დამაკავშირებელ ხიდზე. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე იმ სოფლებშიც ინგილოები ცხოვრობენ.**

მანამდე კი ინგილოებმა მიმართეს წერილით აზერბაიჯანის პრეზიდენტს, რომელშიც სთხოვეს ილჰამ ალიევს გამოეყო მიწის ნაკვეთი აზერბაიჯანის კახის რაიონში, სადაც ცხოვრობენ მათი ნათესავი ინგილოები და მიეცა მათთვის აზერბაიჯანის მოქალაქეობა.

როგორც წერილში აღნიშნავდნენ სამთაწყაროს მცხოვრებლები, ამის მიზეზი გახდა ის, რომ ისინი უკვე რამდენიმე თვეა თავისუფლად ვეღარ გადადიან საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე და ვერ ჩადიან აზერბაიჯანის კახის რაიონში მცხოვრებ თავიანთ ნათესავებთან.

საქმე ის არის, რომ, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით, საქართველოს კახეთის რეგიონის ხელისუფლებამ გადაკეტა ტრანსპორტის და ფეხითმოსიარულეთა გადაადგილება საქართველოს დედოფლისწყაროსა და აზერბაიჯანის კახის რაიონის დამაკავშირებელ ერთადერთ ხიდზე.

„იმის მიუხედავად, რომ საზღვრის ამ მონაკვეთზე ცისტერნებით გადააქვთ ბენზინი, ნავთობი და სხვა კონტრაბანდა, ჩვენ არ გვაძლევენ ნათესავებთან შეხვედრის უფლებას", — აღნიშნავენ სოფლის მცხოვრებლები.

REGNUM

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდეძ გამოაქვეყნა მსოფლიოს 100 საუკეთესო მოთამაშის რეიტინგი 2007 წლის პირველი იანვრისათვის. საჭადრაკო ელიტის სიაში მითითებულია აგრეთვე ის ადგილები, რაც ამა თუ იმ მოჭადრაკეს სამი თვის წინანდელ რეიტინგში ეკავა





ხელბურთი



## დარჩენილი მატჩები ვერაფერს შეცვლის

**ოთხიოდე მატჩიც და დამთავრდება ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის III ჯგუფის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც ოთხი გუნდი მონაწილეობდა.**

ექვსწლიანი პაუზის შემდეგ აღდგენილმა საქართველოს ნაკრებმა, სამწუხაროდ, თავი ვერაფრით გამოიჩინა: ჯერ ლატვიელებთან დათმო ორი შეხვედრა, მერე შინ დამარცხდა ჯგუფის ფავორიტ რუმინეთის გუნდთან ათბურთიანი (24:34ძ სხვაობით. ჩვენებს არც განმეორებით მატჩში მოუწყვეტიათ ვარსკვლავები. კონსტანტაში პირველი ტაიმი მასპინძლებმა 16:11 მოიგეს, საბოლოოდ კი 30:24 გაიმარჯვეს და 8 ქულით გათამაშების ცხრილს ჩაუდგნენ სათავეში. ამდენივე ქულა მოაგროვეს ლატვიელებმაც, რომლებმაც საკუთარ მოედანზე ბულგარელებს მეორედაც სძლიეს 29:23.

ამდენად, რუმინეთი და ლატვია ფლეი ოფში გავიდნენ. 17 და 21 იანვარს ამ ორი გუნდის შეხვედრა სიმბოლურ ხასიათს ატარებს და მხოლოდ სტატისტიკოსებისთვის არის საინტერესო, ისევე, როგორც საქართველო-ბულგარეთის ორთაბრძოლა. ჩვენი ხელბურთელები 19 იანვარს სპორტის სასახლეში უმასპინძლებენ მეტოქეს, ორი დღის შემდეგ კი სტუმრად ითამაშებენ.

დარბაზბურთი

## ქართველები – მალტაზე

**ხვალ მალტაზე იწყება ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის პირველი შესარჩევი რაუნდი, სადაც მასპინძლებთან ერთად საქართველოს, კვიპროსისა და ყაზახეთის ეროვნული ნაკრებები იბრძოლებენ საკვალიფიკაციო ეტაპის ორი საგზურისათვის (ეს ტურნირი 18-28 თებერვალს გაიმართება და მისი გამარჯვებული „ევრო-2007“-ის ფინალურ ტურნირში ითამაშებსძ.**



გაგაცნობთ „ჯვაროსანთა“ (მთავარი მწვრთნელი დავით სოლოღაშვილიძ შეხვედრების განრიგს:

**18 იანვარი. საქართველო-ყაზახეთი;**

**19 იანვარი. საქართველო-კვიპროსი;**

**21 იანვარი. საქართველო-მალტა.**

ეროვნული ჩემპიონატი

## ფინიშამდე სამი ტურით ადრე

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკეთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შესარჩევი ტურნირი.**

გუშინ გათამაშდა მეექვსე ტური. ქალებში ქეთი წაწალაშვილმა ერთპიროვნული ლიდერი ლალი ბიბილაშვილი დაამარცხა და 5,5 ქულით თავად დაწინაურდა. 3,5-3,5 ქულა ერთბაშად ოთხ მოჭადრაკეს ჰქონდა. ანა ბუცხრიკიძემ სალომე სირაძეს სძლია, ხოლო ნინო კალანდაძემ 9 წლის თეკლა მაჭარაშვილს მოუგო.

დღეს მეშვიდე ტურში ითამაშებენ კალანდაძე – წაწალაშვილი, ბიბილაშვილი – ბაიაძე, კობეშავიძე – ბუცხრიკიძე.

ვაჟებშიც შეიცვალა ლიდერი – ვეტერანმა მოჭადრაკემ მიხეილ ჭიპაშვილმა დავით ლომსაძეს დააყრევინა ფარ-ხმალი და ახლა იგი 5,5 ქულით მეწინავეობს. ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა VI ტურის პარტიები ასე დამთავრდა: დავით ურუშაძე – დავით ნიგალიძე 0:1, თამაზ მგელაძე – ირაკლი ბერაძე 1:0, გიორგი ხელაია – ლევან ბახტაძე 0,5:0,5, სალომე ხაჟომია – ნოდარ დავარაშვილი 0,5:0,5.

მეშვიდე ტურში ყურადღებას იპყრობს ნიგალიძე – ჭიპაშვილის, ლომსაძე – ხელაიას, ბახტაძე – მგელაძისა და ხაჟომია – ფაციას ორთაბრძოლები.

კალათბურთი

## სეზონი რუსთავში იწყება



**დღეს საქართველოში საკალათბურთო სეზონი განახლდება – რუსთავში ოლიმპიური ჩემპიონების ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მეორე მემორიალი იწყება, სადაც სუპერლიგის ექვსივე გუნდი ითამაშებს.** შეგახსენებთ, რომ შარშანდელი შეჯიბრების ფინალში „აზოტმა“ 106:77 სძლია სტუ-ს. წლეულს ეს კლუბები თბილისის „დინამოსთან“ ერთად **„ა“ ჯგუფში** იასპარეზებენ, ხოლო **„ბ“ ჯგუფში** „ავიამშენი“, თსუ და „მაქაბი“ მოხვდნენ. გაეცანით მომავალი მატჩების კალენდარს:

**17 იანვარი.** თსუ-„მაქაბი“ (15.00ძ, „დინამო“-სტუ (17.00ძ.

**18 იანვარი.** „ავიამშენი“-თსუ (15.00ძ, „აზოტი“-„დინამო“ (17.00ძ.

**20 იანარი.** „ავიამშენი“-„მაქაბი“ (13.00ძ, სტუ-„აზოტი“ (15.00ძ.

**21 იანვარი.** ჯგუფებში გამარჯვებულთა ფინალური დუელი (15.00ძ.

დავძენთ, რომ ხსოვნის ტურნირის საუკეთესო უკანახაზელს ზურაბ საკანდელიძის, ხოლო გამორჩეულ თავდამსხმელს – მიხეილ ქორქიას სახელობის ინდივიდუალური პრიზები გადაეცემათ.

რაც შეეხება ცალკეულ კალათბურთელებს, ტრავმების გამო თსუ-ს ხეცურიანი, ხოლო თბილისის „დინამოს“ – გვიმრაძე დააკლდებათ. სათუოა აგრეთვე სარბიელზე ბადრიძისა და ლაფანაშვილის გამოსვლა. ყოველივე ეს გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე შევიტყვეთ.

იქვე ეროვნული თასის გათამაშების კენჭისყრაც მოეწყო, რომელსაც 26-29 იანვარს თბილისი უმასპინძლებს. მეტოქენი ასე განაწილდნენ:

**„ა“ ჯგუფი.** თსუ, „დინამო“, „აზოტი“.

**„ბ“ ჯგუფი.** „ავიამშენი“ (საპატიო ჯილდოს ამჟამინდელი მფლობელიძ, სტუ, „მაქაბი“.

შეკრებაზე

## „თურქულის“ კვალი

**ანტალიაში წინასასეზონო საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა ქართულმა კლუბებმა მორიგი სპარინგმატჩები მარცხიანად დაასრულეს.**



დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის“ ეროვნული თასის მფლობელმა თბილისის „ამერმა“ თურქეთიდან გამომგზავრების წინ 2:3 დათმო შეხვედრა მოსკოვის „სპარტაკის“ სარეზერვო გუნდთან (გოლები მეტოქეს ჯელაძემ და მჭედლიშვილმა გაუტანესძ, ხოლო თბილისის „დინამომ“ ზაპორეჟიეს „მეტალურგთან“ წაიფორთხილა 1:2 (იაშვილიძ. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ დუშან უგრინის შეგირდებმა გროზნოს „თერგს“ სძლიეს – 1:0, ხოლო ზეგ უკრაინულ „ხარკოვთან“ მოსინჯავენ ძალებს.

ორბიტაზე

## აფრიკაში საუკეთესონი

**კამერუნელი როჟე მილა ბოლო ორმოცდაათწლეულის აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. გულშემატკივრებმა მეორე ადგილი მიაკუთვნეს ეგვიპტელ თავდამსხმელს მაჰმუდ ელ-ჰატიბის, მესამე კი – მის თანამემამულეს ჰუსამ ჰასანს.**

საუკეთესოთა ათეულში არიან აგრეთვე სამუელ ეტო꞉ო (კამერუნიძ, აბედი პელე (განაძ, ჯორჯ ვეა (ლიბერიაძ, დიდიე დროგბა (კოტ-დიუვარიძ, ნვანკო კანუ (ნიგერიაძ, რაბახ მაჯერი (ალჟირიძ, კალუშ ბვალია (ზამბიაძ.

## ახალი ბოლიდით

**ახალი, რიგით 53-ე ბოლიდით, „ფერარი-P2007“ მოუწევს ასპარეზობა ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიოს 58-ე ჩემპიონატზე საჯინიბო „ფერარის“ ახალ პილოტს, 2005 წლის ვიცე-ჩემპიონს კიმი რაიკონენს, რომელმაც 7-გზის მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერი შეცვალა.**



მართალია, მან ახალი ბოლიდი მხოლოდ სტენდზე ნახა, მაგრამ, როგორც ჩანს, ძალზე კმაყოფილი დარჩა – „ვაღიარებ, რომ ეს მანქანა დიდებულად გამოიყურება. მოუთმენლად ველოდები მის საქმეში გამოცდას. ახალი სეზონიდან ხომ ბევრს მოველი!“

## ჯემა მოღალატე არაა!

**თავის აღშფოთებას ვერ მალავდა ბრიტანული ახალგაზრდული „საპნის ოპერის“ ვარსკვლავი ჯემა ატკინსონი, როდესაც ინგლისურმა ტელეარხმა ITV1 ვითომდა ახალი ტელესერიალის რეკლამის სახით აჩვენა მისი რომანი ავსტრალიელ მსახიობ მარკ ფერიზსთან, ახალ სერიალში ხომ ისინი მთავარ როლებს ასრულებენ. თუმცა რეკლამაში ყველაფერი ისე იყო ნაჩვენები, თითქოს მათ სინამდვილეში სერიოზული ურთიერთობა ჰქონოდათ.**

ყოველივე ეს ჯემამ პირად შეურაცხყოფად მიიჩნია, რადგან სინამდვილეში მას რომანი აქვს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელთან, პორტუგალიელ ვარსკვლავთან კრიშტიანუ რონალდუსთან. სასოწარკვეთილმა ჯემამ სასწრაფოდ დაურეკა ფეხბურთელს და ყველაფერი აუხსნა. მათი რომანი გრძელდება.



ჭადრაკი

## ნაახალწლევს — „მაიაში“

**ქუთაისში დამთავრდა ტრადიციული იმერეთის პირველობა, რომელსაც საჭადრაკო კლუბმა „მაიამ“ უმასპინძლა.** ვაჟებში 9 შესაძლებლიდან 8 ქულით პირველი ადგილი 14-წლიანთა შორის ევროპის ჩემპიონმა დავით ბენიძემ დაიკავა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა თანატოლებში ევროპისა და მსოფლიო პირველობების ორ-ორგზის გამარჯვებული მერი არაბიძე, რომელიც ვაჟებში ცდიდა ძალებს. 6 ქულით მესამე იყო სიმონ ხაჭალია.

გოგონებში ყველას ლელა უგულავამ აჯობა. მან 5,5 ქულა მოაგროვა.



## მსოფლიო ელიტაში – გაუარესებული მაჩვენებლებით

**ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდეძ გამოაქვეყნა მსოფლიოს 100 საუკეთესო მოთამაშის რეიტინგი 2007 წლის პირველი იანვრისათვის. საჭადრაკო ელიტის სიაში მითითებულია აგრეთვე ის ადგილები, რაც ამა თუ იმ მოჭადრაკეს სამი თვის წინანდელ რეიტინგში ეკავა.**

ახალ რეიტინგში პირველ ადგილზე 2783 ქულით ისევ ბულგარელი დიდოსტატი ვესელინ ტოპალოვია. შემდეგ მოდიან ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი – 2779ძ, ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი-2766ძ. რეიტინგის მიხედვით წინ მოულოდნელი ნახტომი გააკეთა აზერბაიჯანელმა მოჭადრაკემ შაკრიარ მამედიაროვმა, ის მეთორმეტე ადგილიდან 2754 ქულით მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა.

პირველ ათეულში არიან აგრეთვე 5 (6ძ ვასილი ივანჩუკი (უკრაინა – 2750ძ, 6 (8ძ პეტერ ლეკო (უნგრეთი – 2749ძ, 7 (7ძ ლევონ არონიანი (სომხეთი – 2744ძ, 8 (5ძ ალექსანდრე მოროზოვიჩი (რუსეთი – 2741ძ, 9 (9ძ მაიკლ ადამსი (ინგლისი-2735ძ, 10 (10ძ ბორის გელფანდი (ისრაელი-2733ძ.

მსოფლიოს უძლიერესთა პირველ ასეულში მოხვდნენ ქართველი მოჭადრაკეებიც, თუმცა გაუარესებული მაჩვენებლებით. 54-ე ადგილიდან უკან, 56-ზე დაიხია ბაადურ ჯობავამ, (2656ძ. 49-დან 64-ე ადგილზე გადაინაცვლა ზვიად იზორიამ (2644ძ, 73-დან 83-ე საფეხურზე „ავიდა“ ზურაბ აზმაიფარაშვილი – (2632ძ.

პირველ ასეულში კიდევ ერთი ქართველია, რუსეთის სახელით მოთამაშე მიხეილ ქობალია – 70(64ძ – 2639 ქულა.

● საგულისხმოა, რომ სპექტაკლში რობერტ სტურუას არგენტინელი კომპოზიტორის დიტერ პოსალის მუსიკასთან ერთად გამოუყენებია გია ყანჩელის მუსიკაც



◎ შენ — ნიჭო ჩემო!

# ალიარების კიდევ ერთი დასტური

**მსოფლიოში აღიარებული ქართველი რეჟისორის რობერტ სტურუას მრავალრიცხოვან რეგალიებს ახლახან კიდევ ერთი შეემატა — არგენტინის თეატრის ისტორიკოსთა და კრიტიკოსთა ასოციაციის „ACE“-ს პრიზი. არგენტინის ეს თეატრალური საზოგადოება ყოველწლიურად აჯილდოებს ხოლმე საუკეთესო სპექტაკლის შემქმნელ ავტორებსა და ჯგუფებს. 2006 წლის დამლევს „ACE“-მ ნომინაციაში საუკეთესო დადგმისათვის დააჯილდოვა რობერტ სტურუა ქალაქ ბუენოს-აირესში სან მარტინის თეატრალურ კომპლექსში 2005 წელს განხორციელებული ბერტოლდ ბრეხტის პიესისთვის „არტურო უის კარიერა“.**

არგენტინაში სპექტაკლის დადგმა რობერტ სტურუასთვის პირველი როდია. იგი ძალზე პოპულარულია ამ ქვეყანაში, რადგან არაერთი მიწვევა ჰქონია. სხვადასხვა წლებში ბუენოს-აირესში მას დაუდგამს ბრეხტის „დედილო კურაჟი“, „სიმონა მაშარის სიზმრები“ და შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“. ამ ქვეყნის თეატრალები იცნობენ ქართულ დასსაც. ოცი წლის წინათ, 1987 წელს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი აქ გასტროლებზე იმყოფებოდა სწორედ სტურუასეული დადგმებით — „კავკასიური ცარცის წრითა“ და „რიჩარდ III“-ით, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

„არტურო უის კარიერას“ საუკეთესო დადგმის გარდა პრემია მიენიჭა კიდევ ორ ნომინაციაში: საუკეთესო სცენოგრაფიისთვის და მთავარი როლის საუკეთესო შესრულებისათვის. მთავარ როლს, არტურო უის სახეს სპექტაკლში განასახიერებს მსახიობი ფაბიენ ვენა.

1941 წელს დაწერილ ამ ნაწარმოებში ბრეხტმა ანტიფაშისტურ თემას მიმართა. სწორედ ეს თემა გამხდარა წამყვანი იმ წლებში ბრეხტის შემოქმედებაში, რითაც იგი ააშკარავებდა ომის დამღუპველ გავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ცალკეულ ადამიანებზე. გენიალურმა დრამატურგმა „არტურო უის კარიერაში“ პოლიტიკური თამაშის უზნეო არსი წარმოაჩინა. როგორც არგენტინული პრესა მიუთითებს, რობერტ სტურუას დიქტატორი არტურო უი განზოგადებულ სახედ გაუაზრებია. და მეტი აქტუალურობისათვის მოქმედება გაურკვეველ ადგილას გადაუტანია. პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში კი რეჟისორი ამბობს: ყველაფერი, რაც კი მსოფლიოში ხდება, ქაოსურია. მეც კი, ვისაც ტირანები და დიქტატორები მძულს, ზოგჯერ მინდა ვინმე „მტკიცე ხელი“ მოვიდეს და წესრიგი დაამყაროს, დანაშაულს, კორუფციას, ტერორიზმს ბოლო მოუღოს.

საგულისხმოა, რომ სპექტაკლში რობერტ სტურუას არგენტინელი კომპოზიტორის დიტერ პოსალის მუსიკასთან ერთად გამოუყენებია გია ყანჩელის მუსიკაც.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

◎ ცხრა მთას იქით

# სადამი ჯოჯოხეთში ჩადის

**... სიკვდილით დასჯის დილა ცივი გათენდა და ექს-დიქტატორმა საპატიმროს ნარინჯისფერი კოსტიუმის ნაცვლად თეთრ პერანგზე გრძელი პალტო ჩაიცვა, თავზე მოქსოვილი ქუდი დაიხურა და ყელზე შარფი შემოიხვია.**

ის იმ ოთახში შეიყვანეს, სადაც წითელზღუდეებშემოვლებული სახრჩობელა იდგა. ოთახის მომცველ შენობაში ერთ დროს სადამის სამხედრო დაზვერვის შტაბ-ბინა იყო განთავსებული. დაცვამ სიკვდილმისჯილი ნიღბებიან ჯალათებს გადასცა. ექს-პრეზიდენტმა უმალვე შეიცნო იმათში შიიტები — მუქი ყავისფერი კანითა და სამხრეთული დიალექტით (თვითონ სადამი სუნიტი გახლდათ და 30-წლიანი მმართველობის წლებში სასტიკად უსწორდებოდა შიიტებსძ.



ოთახი, სადაც სასჯელი უნდა აღსრულებულიყო, ცივი და ცუდად განათებული აღმოჩნდა, თანაც იქ უსიამოვნო სუნი იდგა. 14 მოწმე და კიდევ 11 კაცი — დაცვა და სატელევიზიო ჯგუფი შეგროვდა და ვერც კი მობრუნდებოდი.

ჯალათებმა ექს-დიქტატორს ქუდი მოხადეს და შარფი მოხსნეს, ხელებზე ბორკილები დაუტოვეს და მეზობელ ოთახში გაიყვანეს, სადაც მოსამართლემ სასიკვდილო განაჩენი წაუკითხა.

— გაუმარჯოს ერს! გაუმარჯოს ხალხს! გაუმარჯოთ პალესტინელებს! — გაიძახოდა სადამი, სანამ მოსამართლე ვერდიქტს კითხულობდა.

მერე სიკვდილმისჯილი კვლავ დააბრუნეს სახრჩობელიან ოთახში. ის მშვიდი, თვითდაჯერებული, ძლიერი ჩანდა. გენერალურმა პროკურორმა ჰკითხა, თუ ვისთვის სურდა თავისი ყურანის გადაცემა. — ბანდარისათვის, ერაყის რევოლუციური სასამართლოს უმაღლესი მოსამართლის, ავად ალ-ბაიდარის ვაჟისათვისო, უპასუხა სადამმა (ავად ალ-ბაიდარსაც სიკვდილი მიესაჯაძ. შემდეგი შეკითხვა ეროვნული უშიშროების საქმეებში მრჩეველმა მოვაფაკ ალ-რუბაისმა დაუსვა, მონანიებისა და შიშის გრძნობას თუ განიცდიო. არაო, — იყო პასუხი. — მე მებრძოლი კაცი ვარ და არ ვიცი შიში. მთელი სიცოცხლე ჯიჰადსა და აგრესორებთან ბრძოლაში გავატარე. ასეთი ბედის ამრჩევი ადამიანებისათვის შიში უცხოაო.

როგორც იქნა, ექს-პრეზიდენტი სახრჩობელასთან მიიყვანეს. მშვიდად იყო და წინააღმდეგობას არ სწევდა. თავაწეულს, მონანიების ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია. ჯალათებმა კაპიუშონი შესთავაზეს თვალებზე ჩამოსაფხატად — იუარა. აუხსნეს, რომ სქელ თოკს მისთვის ყელის ძლიერი დაზიანება შეუძლია და შარფის შემოხვევა ურჩიეს. ამაზე დათანხმდა და მაღალ პლატფორმაზე ავიდა, რომლის ქვეშაც ღრმა ხვრელს დაელო ხახა.

ლოცვის შემდეგ სადამმა უკანასკნელი სიტყვები წარმოსთქვა: „დაე, წყეულიმც იყვნენ ამერიკელები და სპარსელები! არ არს ღმერთი, გარდა ალაჰისა და მუჰამედი წინასწარმეტყველია მისი“. ხმა მკაფიო, ფოლადისებრი ჰქონდა. არავითარი წაბორძიკებები თუ ყელში სპაზმები. 30 დეკემბერს, დილის 6 საათსა და 10 წუთზე საყრდენი გამოაცალეს. გეგონებოდა, დიდხანს ვარდებაო, მაგრამ სიკვდილი მალე ეახლა. უკვე ერთ წუთში სხეულმა შეწყვიტა კონვულსიური ფართხალი. თვალები ძველებურად დარჩა ფართოდ გახელილი. ყელზე საშინელი ჭრილობა აჩნდა...

**მელორ სტურუა**
**აშშ, მინეაპოლისი.**

**მინაწერი: იანვრის პირველ რიცხვებში ცნობილი გახდა, რომ დააკავეს ის კაცი, ვინც მობილური ტელეფონით გადაიღო სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯა და ვიდეოჩანაწერი ინტერნეტით გაავრცელა. თუმცა მისი სახელი არ გაუხმიანებიათ, მაგრამ ფიქრობენ, რომ ეს ერთ-ერთია იმ ერაყელ მოხელეთაგან, რომლებიც 30 დეკემბერს ესწრებოდნენ განაჩენის აღსრულებას.**

◎ SIC!

# სამშენებლო კომპანიებს, შესაძლოა, სახლის აშენებამდე ბინების გაყიდვა აუკრძალონ

**აღნიშნულ საკითხს, სხვა სიახლეებთან ერთად, ითვალისწინებს „სამშენებლო კოდექსი“, რომლის განხილვა საკანონმდებლო ორგანოში საგაზაფხულო სესიაზე იგეგმება.**

როგორც დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილმა განმარტა, სამშენებლო სექტორში საკანონმდებლო ვაკუუმი არსებობს, რაც დაუშვებელია და შესაბამისად, კოდექსის მიღება მეტად მნიშვნელოვანია.

ლეკიშვილის თქმით, კოდექსი გაითვალისწინებს როგორც სამშენებლო ფირმებისთვის, ისე დეველოპერული კომპანიებისთვის ნებაყოფლობითი ლაბორატორიების შექმნას. ასევე, განსაზღვრული იქნება სამშენებლო კომპანიების პასუხისმგებლობები, ნებართვების გაცემის, პროექტის დამტკიცების წესები და ა.შ.

ამას გარდა, ლეკიშვილი მიიჩნევს, რომ თანდათან უნდა გაუქმდეს ამხანაგობები, ან მათ ხელშეკრულება პროფესიონალ მშენებლობებთან უნდა გააფორმონ.

**ინტერპრესნიუსი**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის მთავრობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ აფხაზეთის შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ზუგდიდის დევნილთა რეგიონალური პოლიკლინიკის მთავარი ექიმის, ღირსეული მოქალაქის, გულისხმიერებით და დევნილ თანამემამულეთა სოციალურ პრობლემებზე ზრუნვით გამორჩეული, სამედიცინო სამსახურის ნიჭიერი და აქტიური ორგანიზატორის



მზევინარ გამახარია-ფარცვანიას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლო ნათესავებს.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 2007 წლის 14 იანვარს ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაიშთან მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა ჩვენი 5 თანამემამულე, აფხაზეთიდან დევნილები:

მზევინარ ფარცვანია-გამახარია
ია ნაჭყებია-გამახარია,
რუზგენ ფარცვანია,
ირაკლი ფარცვანია,
დავით ქუთელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახებს და ახლო ნათესავებს.

---

დალილა ხორავა და თამაზ ხუბუა ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ქრისტესმიერი სულიერი მეგობრების

მზევინარ გამახარია-ფარცვანიას,
რუზგენ და ირაკლი ფარცვანიების

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ახლობლებს.

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებს, და-ძმა ნონა და რამაზ ესიავებს დედის

მერი იპოლიტეს ასულ ახალაიას

გარდაცვალების გამო.

---

საქმე №2/283-6

## განჩინება

### კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

ქ.თბილისი 15 იანვარი, 2007 წ.

2007 წლის 12 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა გაკოტრების მმართველმა ვახტანგ კაპანაძემ და აღნიშნა, რომ მის მიერ განხორციელდა მთელი ლონისძიებები, მათ შორის, გაკოტრების მასაში შემავალი ქონების ნაწილის რეალიზაცია. ამავე კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ითხოვა კრედიტორთა კრების მოწვევა შემდეგი დღის წესრიგით:

აძ გაკოტრების მმართველის ანგარიშის წარმოდგენა;

ბძ დამატებითი მოთხოვნების შემოწმება;

გძ მოთხოვნების ცხრილის საფუძველზე გაკოტრების ტაბულის საბოლოო ვარიანტის დამტკიცება;

დძ გაკოტრების საქმის წარმოების მიმდინარეობის ხარჯების განსაზღვრა.

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1.შპს „საქავიამშენის“ გაკოტრების მმართველის ვახტანგ კაპანაძის განცხადება დაკმაყოფილდეს, მოწვეულ იქნეს შპს „საქავიამშენის“ კრედიტორთა კრება 2007 წლის 25 იანვარს 16.00 სთ-ზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, სხდომის დარბაზი №10 (მისამართი: ქ.წამებულის გამზ.№1ძ.

2.ინფორმაცია კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე გამოქვეყნდეს „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული წესით.

3.განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე ი.ადეიშვილი

---

**შპს „კაიზერი“ გადის ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის №16. ტელეფონი 899-40-67-62.**

№ 9. ოთხშაბათი, 17 იანვარი, 2007 წელი.

**ინვესტორმა საკურორტო ცენტრის მშენებლობაში 22 მლნ. დოლარის ინვესტიცია განახორციელა, აშენდა და კეთილმოეწყო რამდენიმე საკონფერენციო დარბაზი, ორი 4-სართულიანი საცხოვრებელი კოტეჯი**





**სულიერება**

# ღირსი მამანი: ევაგრე, ილია დიაკონი და სხვანი...

**17 იანვარს საქართველოს სამოციქულო ეკლესია ღირს მამებს ევაგრეს, ილია დიაკონს და სხვებს იხსენიებს.**



VI საუკუნეში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ლოცვითა და კურთხევით, ანტიოქიიდან საქართველოში ჩამოვიდა ცამეტი ასურელი მამა, მათმა სულიერმა მოძღვარმა იოანემ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაგზავნა ისინი სამოღვაწეოდ. ამ სახელებთანაა დაკავშირებული ბევრი მონასტრის დაარსება და საქართველოს ბერ-მონაზვნობის აღორძინება.

თვითონ იოანე ზედაზნის მთაზე დარჩა ილია დიაკონთან ერთად, მისი ერთ-ერთი თანამოღვაწე, ანტიოქიელი ღვთისმოსავი დიდებულის შვილი, ღირსი შიო კი – სარკინეთის მთებში დაეყუდა, მიყრუებულ მთებში მოღვაწე ბერს, ღვთის განგებით, მტრედი უზიდავდა საზრდოს.

...ერთხელ, ღირსი შიო ნახა ამ მხარეში სანადიროდ მოსულმა ციხედიდის მთავარმა ევაგრემ და წმიდა ბერის სასწაულებით გაკვირვებულმა, მასთან, სამოღვაწეოდ დარჩენა გადაწყვიტა.

ასე დაედო საფუძველი საქართველოში, ზედაზნისა და შიო მღვიმის სახელით ცნობილ პირველ მონასტრებს (VI საუკუნეძ.

მხოლოდ ღმერთმა უწყის ასურელ მამათა მიერ საქართველოში დაარსებულ მონასტრებში მოღვაწე წმიდა მამათა რიცხვისა და ღვაწლის შესახებ.

საქართველოს სამოციქულო ეკლესია, ღირსი ევაგრესა და წმიდა ილია დიაკვნის სახით, მეოხებას ითხოვს ასურელ მამათა თანამოღვაწე და მათი წმიდა საქმის გამგრძელებელი ყოველი ღირსი და ღმერთშემოსილი მამისაგან.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

**ინფორმაცია**

## ბაზალეთის საკურორტო კომპლექსი გაზაფხულზე გაიხსნება

**2007 წლის გაზაფხულზე, დუშეთის რაიონში, ბაზალეთის საკურორტო ცენტრი გაიხსნება, ამის შესახებ სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს" დუშეთის რაიონის გამგებელმა გოდერძი ბერბერაშვილმა აცნობა. გამგებლის ინფორმაციით, ინვესტორმა საკურორტო ცენტრის მშენებლობაში 22 მლნ. დოლარის ინვესტიცია განახორციელა, აშენდა და კეთილმოეწყო რამდენიმე საკონფერენციო დარბაზი, ორი 4-სართულიანი საცხოვრებელი კოტეჯი.**



დამონტაჟდა რამდენიმე შადრევანი. როგორც ბერბერაშვილი განმარტავს, კეთილმოეწყო ბაზალეთის პლაჟები, რაც დამსვენებელს ხელსაყრელ პირობას უქმნის იმისათვის, რომ კომფორტულად დაისვენოს და გაერთოს.

შეგახსენებთ, რომ ბაზალეთის საკურორტო ცენტრის განვითარება-განაშენიანებაში ქართველმა ებრაელმა ბიზნესმენმა ილია მოსიაშვილმა 22 მლნ. დოლარის ინვესტიცია ჩადო.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ფართის გაქირავებას განაგრძობს

**საქართველოს ფოსტამ მის ბალანსზე რიცხული თავისუფალი ფართების გაქირავების თაობაზე ღია აუქციონი გამოაცხადა, რომელიც 25 იანვარს გაიმართება.**

როგორც სააგენტო ჯი-ეიჩ-ენს შპს „საქართველოს ფოსტიდან" აცნობეს, გაქირავებული ფართიდან შემოსული თანხები ძირითადად ფოსტის განვითარებას მოხმარდება. შეგახსენებთ, რომ იანვარში ქირის სახით შპს „საქართველოს ფოსტა" თბილისის ტერიტორიაზე გაქირავებული ფართიდან, დაახლოებით 10 ათას ლარს მიიღებს, ხოლო რეგიონებიდან – დაახლოებით 8 ათას ლარს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**იმერეთის მხარე**

## თოვლის საფარმა მეტრს გადააჭარბა

**იმერეთში გადაუღებლად თოვს, მაღალმთიან სოფლებში თოვლის საფარმა მეტრს გადააჭარბა. ამ დროისთვის ჩაკეტილია წყალტუბოს რაიონის სოფელ ძნორისთან მისასვლელი გზა, სადაც თოვლის საფარი 1.5 მ. აღწევს. ასევე ჩაკეტილია საჩხერის სოფელ მოხვთან მისასვლელი გზაც.**

რაც შეეხება ტყიბულის რაიონს, ჭექა-ქუხილმა ელექტროგადამცემი ხაზი დააზიანა, რის შედეგადაც რაიონს ელექტრომომარაგება მთლიანად შეუწყდა. ამ დროისთვის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს.

## ქუთაისის მერი 46 000-ლარიანი მანქანით რატომ დაბრძანდება?

**ქუთაისის მერმა ვიქტორ ბალანჩივაძემ 46 ათას ლარად ღირებული ავტომანქანა „ტოიოტა" ტენდერის გარეშე, ფასთა კვოტირების გზით შეიძინა. ამის შესახებ ინფორმაცია „ჯი-ეიჩ-ენმა" საკუთარ წყაროზე დაყრდნობით მოიპოვა.**

როგორც მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ხვიჩა ვაშაყმაძემ განმარტა, ავტომანქანის შეძენის ფაქტი მერიის ავტოპარკის გაახლების საჭიროებამ განაპირობა.

ქუთაისის საკრებულოს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი ვიკა ნაკაშიძე კი აცხადებს, რომ ქვეყანაში საკმაოდ მძიმე სოციალური ფონის გათვალისწინებით ქალაქის მერს, ჯობდა, იაფფასიანი მანქანით ევლო. წინასწარი ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ფინანსური პოლიცია ქუთაისის მერიაში შემოწმებას გეგმავს.

## ელექტრომექანიკურ ქარხანას მეხი დაეცა

**ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანას გუშინ მეხი დაეცა, რის შედეგადაც ქარხნის პირველსა და მეორე სართულებზე ფანჯრის მინები ჩაიმსხვრა.** ჯერჯერობით ზარალის ოდენობა უცნობია, შემთხვევის ადგილზე უკვე იმყოფებოდა ქუთაისის ხელმძღვანელობა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ლარის კურსი**

**17 იანვრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3145 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7137 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2304 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0651 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9666 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4702 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3935 ლარი. |

**კადრი**



**ანეკდოტები**

– უნდა დამეხმაროთ, ახლახან უძვირფასესი მარგალიტის სამკაული ჩამომგლიჯეს ყელიდან, – ეუბნება ქალი პოლიციის განყოფილების მორიგეს.



– როგორ გამოიყურებოდა, ქალბატონო, ის სამკაული?

– ნამდვილი გეგონებოდათ.

* * *

– ჩემი გოგო ამ ბოლო ხანს რატომღაც მჟაველს მიეძალა. ალბათ, ორგანიზმში რაღაც აკლია, არა? - ეკითხება ქალი დაქალს.

– სულელო, ჭკუა აკლია მაგას. ადრე უნდა გეფიქრა!

* * *

– ახლახან ტელევიზორში მეცნიერები ლაპარაკობდნენ, ადამიანს ტვინი ფეხმძიმობის მეოთხე თვეში უყალიბდებაო, – ეუბნება ცოლი სვანს.

– ეს როგორ კაცო, ტვინი თუ მინდა, აუცილებლად უნდა დავფეხმძიმდე?

* * *

ორი სვანი ლიფტში შევიდა. უცებ კაბინაში გოგონებიც შემოცვივდნენ. გადატვირთული ლიფტი არ დაიძრა. სვანები, როგორც ჯენტლმენები, ლიფტიდან გამოვიდნენ.

– ეს რა იყო, ყველა გოგო ცალ ფეხზე რომ ცდილობდა დადგომას? - ეკითხება ერთი სვანი მეორეს.

– ამას რა მიხვედრა უნდა, საკუთარი წონის შემცირებას ცდილობდნენ.

* * *

ზოგიერთი ქალისთვის ცოტაა, რომ მათ გამო ყველანი ჭკუას კარგავდნენ. მათ ისიც სურთ, რომ... ყველა ისინი უფულოდ დარჩნენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში". მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1"
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.